გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 23 სექტემბერი, 2005 წელი.
№222 (5255)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ცუდია უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## რუსეთი სეპარატიზმს აშკარად უჭერს მხარს






იხ. მე-2 გვ.

### საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციას სეპარატიზმის მხარდაჭერაში, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევასა და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში ადანაშაულებს.**

– მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ქალაქ ცხინვალში ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სამხედრო აღლუმზე გამოიყვანეს მძიმე ტექნიკა. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის საბაზისო დოკუმენტის სოჭის 1992 წლის შეთანხმების და შერეული საკონტროლო კომისიის დადგენილებების უხეშ დარღვევას, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს საგარეო უწყების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსეთის სამშვიდობო ძალების უმოქმედობა, მაშინ, როცა მათ თვალწინ დაუფარავად გადაადგილდება სეპარატისტების მძიმე ტექნიკა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ სწორედ რუსული სამშვიდობო ძალების მეშვეობით ხდება სეპარატისტული ხელისუფლების უკანონო სამხედრო ფორმირებების შეიარაღება.

იხ. მე-2 გვ.

## ცხინვალი თავად ოსებმა დაბომბეს

აცხადებს პარლამენტარი გურამ ვახტანგაშვილი

## ◉ ინფორმაცია

### ქართული გემი ევროპის დიდ გზებზე გადის

ცოტაც და სს „ფოთის გემთსაშენის“ მიერ დამზადებული სრულიად ახალი ტიპის, ფოლადის კორპუსის მქონე სატვირთო გემები ევროპის მდინარეებში შევა. ამის თაობაზე გუშინ, სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გაფორმდა ხელშეკრულება „ფოთის გემთსაშენსა“ და ჰოლანდიურ კომპანია „დამანს“ შორის. იგი ითვალისწინებს 200 ტონა წყალწყვის 12 გემის მშენებლობას. დაკვეთის საერთო ღირებულება 18 მილიონი დოლარია. გემების გაყიდვაზე პასუხისმგებელია კომპანია „დამანი“.

როგორც სს „ფოთის გემთსაშენის“ გენერალურმა დირექტორმა დემეტრიუს ელეპტერიოსმა განაცხადა, ეს არის დიდი და სერიოზული დაკვეთა, რამაც საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოგება უნდა მოუტანოს.

ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრნენ და სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. როგორც მათ განაცხადეს, ხელისუფლებაც და საკანონმდებლო ორგანოც ყოველნაირად შეუწყობენ ხელს საერთაშორისო კონტრაქტის შემდგომ განვითარებას.

უფრო ვრცელ ანგარიშს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ელგუჯა ლეჟანიძე

### ლეიბორისტები იმპიჩმენტით იმუქრებიან

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის“ წევრები დედაქალაქის სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების პედაგოგების შრომით ანაზღაურებაზე 20-პროცენტიანი დანამატის დანიშვნას ითხოვენ და ამ მოთხოვნით საკრებულოს თავმჯდომარეს ზაზა ბეგაშვილს მიმართავენ.

გუშინ „ლეიბორისტებმა“ საკრებულოში რამდენიმე პედაგოგი მიიწვიეს და ახალი ინიციატივის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. იმ შემთხვევაში თუ „ლეიბორისტთა“ წინადადებას საკრებულო არ გაიზიარებს და საკითხს უახლოეს სხდომაზე არ განიხილავს, მშრომელთა პარტიის წარმომადგენლები ბეგაშვილის იმპიჩმენტით იმუქრებიან.

### „ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო...“

„საქართველოს მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე თბილისისთვის დაბინძურებული სასმელი წყლის მიწოდების გამო სანიტარიული ინსპექციის ხელმძღვანელის დავით მესხიშვილის გადაყენებას მოითხოვს.

გია გაჩეჩილაძემ გუშინ „მწვანეთა პარტიის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მდინარე არაგვის ხეობაში, სადაც თბილისის წყალმომარაგების პირველი სანიტარიული დაცვის ზონა მდებარეობს და საიდანაც დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგება ხდება, ხელისუფლების წარმომადგენლები აგარაკებს იშენებენ.

მისივე ინფორმაციით, პირველ სანიტარიულ ზონაში ნებისმიერი სახის მშენებლობა – საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება აკრძალულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ზონაში სამშენებლო პროცესი მაინც მიმდინარეობს. გაჩეჩილაძის თქმით, არაგვის ხეობაში, სანიტარიულ ზონასთან 10-15 მეტრში, საცხოვრებელ სახლებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები იშენებენ. – გაუგებარია სად ჩაედინება ამ აგარაკებიდან ფეკალური წყლები, მაშინ, როცა ჟინვალი-თბილისის საკანალიზაციო წყლები ზედაპირულად მიედინება და ღია არხებით ისევ თბილისის წყალმომარაგების მთავარ არტერიაში, არაგვში იჟონება, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

ინტერპრესნიუსი

## ◉ პანორამა

**იური ეხანუროვის** კანდიდატურა უკრაინის უზენაესმა რადამ დაამტკიცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ეხანუროვის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 289 დეპუტატმა,



თუმცა, გადაწყვეტილების მისაღებად 226 ხმაც იყო საკმარისი. უზენაეს რადაში „იულია ტიმოშენკოს ბლოკმა“ კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

* * *

**ევროპის** ადამიანის უფლებათა სასამართლო თანახმაა განიხილოს „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ დაღუპული ჟურნალისტის დიმიტრი ხოლოდოვის მშობლების სარჩელი, რომლებიც უჩივიან მათი ვაჟის მკვლელობის საქმის განხილვის დროს რუსეთის სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების პრინციპების დარღვევას. ევროპის სასამართლოს კანცელარიამ, რომელიც სტრასბურგში მდებარეობს, ამის შესახებ შეატყობინა ხოლოდოვების ოჯახის ადვოკატს.

* * *

**ლიტვა** დამოუკიდებლად გამოიძიებს რუსულ „სუ-27“ ტიპის თვითმფრინავთან დაკავშირებულ ინციდენტს. ლიტვის მთავრობამ განაცხადა, რომ გამოძიება უნდა გაიმართოს რაც შეიძლება მალე და ძალზე ობიექტურად. „ლიტვაში გამოძიების დასრულების შემდეგ მის დასკვნებს გადავცემთ რუსეთის მხარეს“, – ხაზგასმულია ლიტვის მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

**ტეხასში** კვლავ ასამართლებენ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურე ქალს, რომელსაც ბრალად ედება პატიმართა წამება „აბუ-გრეიბის“ საპყრობილეში. ლინდა ინგლანდის საქმის პროცესი განახლდა ფორტ-ჰუდის სამხედრო ბაზაში. ამჯერად, სამხედრო ადვოკატები მოითხოვენ მათი კლიენტის გონებრივი არაადეკვატურობის აღიარებას, რის გამოც, ადვოკატთა თქმით, ინგლანდმა სწორად ვერ გაიგო, თუ რა უბრძანა მას უფროსობამ.



## საუკუნის დანაშაული



### გადავარჩინოთ მეტალურგიული კომბინატი!

იხ. მე-3 გვ.

## ნუ დავცლით მთის სოფლებს



დროა, ზღვარი დაედოს ხეობების დაცლას! უპირველესად, სახელმწიფოს სტრატეგიიდან გამომდინარე, არ შეიძლება სასაზღვრო რაიონების დაცლა. მეორეც, რაც ასევე მნიშვნელოვანია, არც ეროვნული კულტურის გაღარიბება შეიძლება.

იხ. მე-2 გვ.



## ძაღლებს თავი არ დავაჭმევინოთ!

იხ. მე-6 გვ.

## გამანადგურებელმა სეტყვამ, თურმე... ინფლაციას გადაგვარჩინა



იხ. მე-3 გვ.

თავს ნუღარ შეიწუხებთ, ბატონებო! აღარც სპეციალური პროგრამა გჭირდებათ, აღარც სახელმწიფო პოლიტიკა. 18 სექტემბერს ისეთი სეტყვა მოვიდა კახეთშიც და ქართლშიც, რომ მოსავლის ნახევარი მიწაზე დასცა.

## ბუნება მბრძანებელია



### ღვთის რისხვაა ჩვენს თავს, თუ კაცობრიობამ ხარაკირი გაიკეთა?!



იხ. მე-6 გვ.

⊙ მთავარი თემა

# რუსეთი სეპარატიზმს აშკარად უჭერს მხარს

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს ცხინვალის რეგიონში ზემოაღნიშნული დესტრუქციული ქმედებები და სეპარატისტებისთვის იარაღის მიწოდება. ამავე დროს, საქართველოს საგარეო უწყება მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას, რათა სათანადოდ შეფასდეს რუსეთის ფედერაციის მცდელობა, შელახოს საქართველოს სუვერენული უფლებები და ხელყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

## ვლადიმერ ჩხიკვიშვილის კომენტარი ნამეტნავად „დიპლომატიურია“...

**საქართველოში რუსეთის სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ ჩხიკვიშვილს მიაჩნია, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონებში კრიმინალური სიტუაციის გართულებას ვერ აღკვეთენ, რადგან „მათ პოლიციური ფუნქცია არ ეკისრებათ, ისინი მშვიდობის შენარჩუნებას და დამყარებას ემსახურებიან“.**

ეს განცხადება გუშინ ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ჩხიკვიშვილის განცხადებით, თბილისში რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩის ვალერი კენიაკინის ჩამოსვლის შემდეგ, რამდენიმე უმთავრესი საკითხი უნდა გაირკვეს: გაიმართება თუ არა ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისია, ასევე ზურაბ ნოღაიდელისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა. როგორც ჩხიკვიშვილი ვარაუდობს, ზურაბ ნოღაიდელისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა მაინც შედგება. მისივე თქმით, სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ რეგიონში სიტუაცია უფრო დაიძაბება. ჩხიკვიშვილის განცხადებით, აუცილებლად უნდა გაირკვეს ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები და სიტუაციის შესწავლის პროცესში ეუთო უნდა ჩაერთოს. როგორც ჩხიკვიშვილმა განაცხადა, იგი პარლამენტის თავმჯდომარეს პარლამენტის მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტზე ესაუბრა, რომელიც კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას შეეხება. პარლამენტის თავმჯდომარემ მას განუცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი აღნიშნული დადგენილების მიღებას ოქტომბრის პირველი რიცხვებისთვის გეგმავს.

## დაბომბვას მსხვერპლი არ მოჰყოლია

**დიდი ლიახვის ხეობის დაბომბვას ოსური მხარის კონტროლირებადი პოზიციებიდან მსხვერპლი არ მოჰყოლია.**

გუშინწინ მთელი ღამის განმავლობაში ადგილობრივი ძალოვანები შემთხვევის ადგილებს ათვალიერებდნენ და ამ დროისთვის უკვე დაზუსტებულია, რომ სხეულის დაზიანება აფეთქებების შედეგად არავის მიუღია.

ყუმბარმტყორცნის 120 მილიმეტრიანი ჭურვები სოფლების – ზემო და ქვემო აჩაბეთის მიმდებარე ტერიტორიაზე აფეთქდა. ძირითადად, სროლა მიმდინარეობდა აჩაბეთის საშუალო სკოლის მიმართულებით და ასევე აჩაბეთში დისლოცირებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის მიმართულებით. ძალოვანებმა შემთხვევის ადგილზე ჭურვების ნამსხვრევები აღმოაჩინეს.

ამ დროისთვის აფეთქებების ადგილზე სოფელ აჩაბეთთან ახლოს გამოჩნდნენ ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსი დამკვირვებლები, ასევე კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული ეუთოს დამკვირვებლებიც. თუმცა, ისინი კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ და აცხადებენ, რომ ვიდრე არ მოხდება ყველაფრის გადამოწმება და შემთხვევის ადგილების დათვალიერება, მანამდე რაიმე კომენტარის გაკეთება მიზანშეწონილი არ არის.

როგორც ინტერპრესნიუსს ადგილობრივმა მოსახლეობამ განუცხადა, ისინი მიჩვეულნი არიან ამგვარ სროლებს და აფეთქებებს, თუმცა, გუშინწინ ღვთისმშობლობის დღესასწაულთან დაკავშირებით დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, თავმოყრილი იყო უამრავი სტუმარი. ბევრმა მათგანმა უკვე დატოვა ხეობა, ბევრი კი ახლა ცდილობს ხეობიდან გასვლას.

აჩაბეთის სკოლის პედაგოგები აცხადებენ, რომ სკოლასთან ახლოს გასკდა რამდენიმე ჭურვი. გუშინ მოსწავლეების მხოლოდ 30 პროცენტი მივიდა სკოლაში.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, თუმცა პედაგოგები შიშობენ, რომ შესაძლოა, კვლავაც განმეორდეს ხეობის მიმართულებით შეიარაღებული თავდასხმა, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სკოლაში მყოფ მოსწავლეებს.

## მარატ კულახმეტოვი უარყოფს

**ცხინვალის რეგიონში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ოსური მხარის მიერ ქართული სოფლების ქურთასა და აჩაბეთის ნაღმტყორცნებით დაბომბვის შესახებ.**

კულახმეტოვის განმარტებით, გუშინ ქართულ და ოსურ სოფლებში რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომლის შემდეგაც ნაბახუსევმა ოსებმა, ოსური სოფლების - კვერნეთისა და დომპალეთიდან ქართული სოფლების – აჩაბეთის, ქურთასა და ქემერთის მიმართულებით ავტომატური იარაღიდან უმისამართოდ გაისროლეს, რასაც მსხვერპლი არ მოჰყოლია და არც შენობები დაზიანებულა.

– ნაღმტყორცნებით სროლა არ განხორციელებულა, სროლის შედეგად არც ერთი მოქალაქე და შენობა არ დაზიანებულა, რის შესახებ ოქმი სამშვიდობოებისა და რეგიონში ეუთოს მისიის წარმომადგენლებმა უკვე შეადგინეს, – განუცხადა გუშინ „ინტერპრესნიუსს“ გენერალ-მაიორმა მარატ კულახმეტოვმა.

ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებზე განხორციელებულ სროლებთან დაკავშირებით, განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჯუღელი, რომელიც შემთხვევის ადგილზე თავად იმყოფებოდა.

ჯუღელის მტკიცებით, ოსურმა მხარემ ქართული სოფლების - აჩაბეთის, ქურთასა და ქემერთის მიმართულებით სამი 120 მმ-იანი ნაღმტყორცნისაგან ისროლეს. ამ სოფლების მიმართულებით ნაღმტყორცნების გარდა, ავტომატური იარაღიდანაც ისროდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ დღის კითხვა

# რა შეიძლება მოჰყვეს ვითარების გამწვავებას ცხინვალში?

**20 სექტემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებამ საერთაშორისო შეთანხმებები უხეშად დაარღვია და თვითაღიარებული რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის“ დღე სამხედრო აღლუმით აღნიშნა.**

**კოკოითმა და კომპანიამ რუსთაგან ნაფეშქაშევი სამხედრო ტექნიკა რუსეთისავე სახელმწიფო ჰიმნის ფონზე ნიშნისმომგებად აატარ-ჩამოატარა და სტუმრად მოწვეულ მეორე თვითაღიარებულ პრეზიდენტთან სერგეი ბაღაფშთან თანამშრომლობის ხელშეკრულებაც გააფორმა.**

**ამ ყველაფერმა, რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ქართველი სამხედრო შენაერთებიც მზადყოფნაში მოვიდა.**

**მოჰყვება თუ არა ამ ყველაფერს საომარი მოქმედებების ესკალაცია, ხომ არ ამოწურა ჩვენმა მთავრობამ ყველა სამშვიდობო რესურსი, უნდა გვქონდეს თუ არა საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი და ხომ არ ვიმყოფებით ომის ზღვარზე?**

**„საქართველოს რესპუბლიკამ“ მოქალაქეებს აზრის გამოთქმა ჩვეულებრივ სთხოვა.**

**ლეილა აფაქიძე, პედაგოგი:** – იმდენად გულგატეხილი ვარ, რომ აღარ მჯერა კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრისა. არადა, აუცილებელია სამშვიდობო მოლაპარაკებები. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ომი დაიწყოს. დაუშვებელია ბრძოლა. ცხოვრების დონე ავამაღლოთ, კარგი ხელფასები, პენსიები დავნიშნოთ. ოსები თავისით მოვლენ ჩვენთან.

**ზურამ მალაშხია, აფხაზეთიდან დევნილი, ინჟინერ-მექანიკოსი:** – დროა ყველაფრისთვის საჭირო. ჩემი თაობა შეიძლება ვერ მოესწროს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. თუ პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება, კარგია. მაგრამ თუ ომი გარდაუვალია, უნდა ვიომოთ!

**გია ბარამაშვილი, ბიზნესმენი:** – ხან თვალის ექიმი გავუგზავნეთ, ხან გულისა, ხან ფქვილი მივაწოდეთ, ხან შაქარი. მაგრამ ვერაფერი დავანახეთ. ვძულვართ, არ ვუნდივართ. მიწა ჩვენია, უნდა გავყაროთ. წავიდნენ, სადაც უნდათ, ტერიტორია დატოვონ, – გინდ მშვიდობიანად, გინდ ომით, ეს უნდა გავაკეთოთ.

**სოფო ქორიძე, იურისტი:** – ყველაფრის მოგვარება მშვიდობიანი გზით უკეთესია. ჯარის დგომა კონფლიქტურ ზონასთან გაუმართლებელია. თუმცა ომის შემთხვევაში, უკანდახევა არ შეიძლება.

**გივი იოსელიანი, ხელოვანი:** – ჯერ თავის თავი დააყენოს ჩვენმა მთავრობამ მოწოდების სიმაღლეზე და მერე იფიქროს კონფლიქტის მოგვარებაზე. ჩვენი საჯარისო შენაერთების კონფლიქტის ზონასთან მიყრა არასწორია. კი, მაგრამ ვის ვეომებით? რუსეთს? რუსეთს თავისი ხალხი არ ენანება და ჩვენ დაგვინდობს?! აფხაზეთში ნახევარზე მეტი რუსეთის მოქალაქეა და არაფრის გულისთვის არ დათმობს მიტაცებულ ტერიტორიებს. სხვა რამ უნდა მოვიფიქროთ.

**ზარდა აქ დაფიქსირებული მოსაზრებებისა, ამავე თემაზე ასიოდე ადამიანის აზრიც გამოვიკითხეთ.**

**გამოკითხულთა 70 პროცენტი სისხლისღვრისა და ომის წინააღმდეგია, 30 პროცენტი კი თვლის, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ იარაღით შეიძლება.**

**ჯაბა ხუბუა,
ზურაბ მოდებაძე.**



⊙ კონფლიქტის ზონა

# ცხინვალი თავად ოსებმა დაბომბეს

## აცხადებს პარლამენტარი გურამ ვახტანგაშვილი



**– ბატონო გურამ, რას იტყოდით ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, ცხინვალის დაბომბვას ლიახვის ხეობის ქართული სოფლების დაბომბვაც მოჰყვა, ამ ყველაფერს კი წინ უძღოდა „დამოუკიდებლობის“ მე-15 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა...**

– ოსური მხარე გათავხედდა და თავისი შეიარაღებული ძალების დემონსტრირება მოახდინა. სამშვიდობოებმა კი ეს არ აკრძალეს. სინამდვილეში, 1992 წლის დაგომისის და, აქედან გამომდინარე, გასული წლის კოკოითი-ჟვანიას ღიად მიღწეული შეთანხმებით, ოსებს მძიმე ტექნიკა არ უნდა ჰყავდეთ. მათ კი ტანკების პარადი ჩაატარეს, აჩვენეს ძალის დემონსტრირება, რათა იქ დარჩენილ ქართულ მოსახლეობაში შიში გამოეწვიათ.

ამას დაემატა ცხინვალის დაბომბვის მაპროვოცირებელი ფაქტი, რომელიც თავად ოსებმა მოაწყეს. ეს ფაქტი გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა: კოკოითი ორი-სამი თვის განმავლობაში სისტემატურად აცხადებდა რომ, ვითომ ქართულ მხარეს ძალისმიერი მეთოდებით უნდოდა კონფლიქტის მოგვარება. მათი ეს ვარაუდი არ გამართლდა. ქართული მხარე ყოველთვის მშვიდობიანი მეთოდების მომხრე იყო. ამიტომ თავად მოაწყეს პროვოცირება, რომ მსოფლიოს დაენახა, ხედავთ, ქართველებმა ცხინვალი დაბომბესო.

ამ პროვოცირების გაგრძელებაა ქართული სოფლების, ზემო და ქვემო აჩაბეთის ფაქტობრივი დაბომბვა. ისროდნენ ოსების პოზიციებიდან. უწინდელი ჩვენი ყველა პოზიცია ახლა ოსებს უკავიათ, დააყენეს იქ ჯარები და მოსახლეობას გეგმაზომიერად აშინებენ.

**– ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი პროვოკაცია იყო?**

– პროვოკაცია ოსებისა და რუსების მხრიდან. მაგათ არ ვაცალკევებ. უნდოდათ, იგივე განმეორებულიყო, რაც შარშან, ზაფხულში მოხდა. რუს სამშვიდობოებს ხელს აძლევს ვითომ დაძაბულობის წარმოჩენა, რომ თავიანთი იქ ყოფნა გაამართლონ. ამიტომ მუდმივად აწყობენ პროვოკაციებს.



**– რომ დატოვონ რუსმა „სამშვიდობოებმა“ ცხინვალის რეგიონი, რა მოჰყვება ამ ფაქტს, კიდევ უფრო დაიძაბება ვითარება, თუ – პირიქით?**

– რუსმა სამშვიდობოებმა აუცილებლად უნდა დატოვონ ტერიტორია, ვითარება შესაძლოა მხოლოდ ერთი ან ორი კვირით გამწვავდეს, მაგრამ მთავარია, რომ კოკოითი თავისი ამალით წავა, ჩოჩიევიც ზედ მიჰყვება. ასევე მიჰყვებიან სხვა ჩინოვნიკებიც. მინისტრები და ძალოვანები. სულ რუსები ჰყავთ. ამის შემდეგ უფრო რეალური იქნება ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგი გაგრძელდეს და მოლაპარაკებებს არსებითი შედეგი მოჰყვეს.

ჩინოვნიკებში ვგულისხმობ ცხინვალის ხელისუფლებაში მოკალათებულ რამდენიმე კაცს, ვისაც რუსები გრანტებით და სხვა თანხებით აფინანსებენ. მათ ყველას რუსეთში სახლი აქვს ნაყიდი... ესენი იმ სამშვიდობო ჯარს გაჰყვებიან...

**– ოთხმხრივ მოლაპარაკებებს რაიმე შედეგი მოაქვს?**

– ამ მოლაპარაკებებს არანაირი აზრი არა აქვს და მისი გადაწყვეტილებანი არ სრულდება. სამი ერთის წინააღმდეგ – ასეთ პოზიციაშია ქართული მხარე. ხომ გამორიცხულია, რომ ჩრდილო ოსეთის ან რუსეთის მხარემ ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს, მით უმეტეს იმ ფონზე, რაც ჩრდილო ოსეთის ლიდერმა მანსუროვმა განაცხადა, ორი ოსეთის გაერთიანებისა და ერთი ოსეთის – ალანიის შექმნის თაობაზე.

ამ განცხადების შემდეგ როგორღა იქნება ჩრდილო ოსეთი ნეიტრალური მხარე? ამიტომ იგი, აუცილებლად უნდა გამოეთიშოს ოთხმხრივ მოლაპარაკებებს.

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად ქმედითია ეუთოს მისიის ცხინვალში ყოფნა კონფლიქტის მოსაგვარებლად?**

– ეუთოს მისია ცხინვალში ყოველთვის ობიექტურად აფიქსირებს, ვინ გაისროლა. ქართველებმა თუ რუსებმა. რომ გადახედოთ ამ ნუსხას, აშკარად დაინახავთ, რეალურ სურათს – ყოველთვის პროვოცირებას ოსური მხარე მიმართავს. ამიტომ განაცხადა რამდენჯერმე უკმაყოფილოდ ჩოჩიევმა, ეუთოს მისიას დაეტოვებინა ცხინვალის რეგიონი, რადგან მათ ნეიტრალური დამკვირვებელი ხელს არ აძლევთ.

**– ეუთოს რეალურად რა ბერკეტები გააჩნია კონფლიქტის მოსაგვარებლად?**

– არანაირი, გარდა ფინანსური მხარისა. მან 2 მილიონ 500 ათასი ევრო გამოყო ინფრასტრუქტურისთვის, რაღაც სამუშაოები სრულდება და ეს ოსებს ხელს აძლევთ, რომ სოლიდური თანხა „მოტეხონ“ იარაღისთვის. ოსებს უნდათ, რაც შეიძლება მეტი ფული მიიღონ ეუთოსგან თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს ეუთოს ეს პროექტი და გაირკვეს, სად მიდის უზარმაზარი თანხა. ჩვენები ვერ აკონტროლებენ, სად მიდის ეს ფული ცხინვალში.

**– რას მოიტანს ზურაბ ნოღაიდელისა და კოკოითის შეხვედრა?**

– ამ შეხვედრას, ვფიქრობ, არანაირი აზრი არ ექნება. ჟვანიამ და კოკოითმაც მოაწერეს ხელი რეგიონის დემილიტარიზაციას, ქართულმა მხარემ სიტყვა 100 პროცენტით შეასრულა და სამშვიდობოებიც გამოიყვანა, ოსურმა მხარემ კი პარადი ჩაატარა და ქუჩებში ტანკები აგრიალა.

ვფიქრობ, მათი მიზანი აშკარაა: უნდათ, რომ დიდი და პატარა ლიახვის 21 ქართული სოფელი დაიცალოს და ქართული მოსახლეობა იქიდან გამოიდევნოს. სურთ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რათა გზა ვლადიკავკაზამდე გაანთავისუფლონ.

პარადზე ბაღაფში, რუსი დეპუტატებიც შემოვლითი გზით ჩამოვიდნენ, ცუდ ამინდში კი ამ გზაზე გავლა საშინელებაა. ამისთვის იბრძვიან, რომ ეს ქართული სოფლები მოსპონ. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ!

**ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი**

⊙ ინფორმაცია

## კოტე კემულარიას სასამართლოში უჩივის

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანს იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას წინააღმდეგ სარჩელს უზენაეს სასამართლოში შეაქვს. იუსტიციის სამინისტროს მონიტორინგის საბჭოს ხელმძღვანელმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, რომ ჯიშკარიანი მინისტრისაგან ბოდიშის მოხდასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. მისი თქმით, მოსარჩელე იუსტიციის მინისტრისაგან იმ განცხადების გამო მოითხოვს ბოდიშის მოხდას, როდესაც მინისტრმა ჯიშკარიანი მექრთამეობაში დაადანაშაულა. პროცესზე მოსარჩელის წარმომადგენელია არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაციაა“.**

## უბედური შემთხვევა მე-8 ლეგიონის დასახლებაში

**ისანი-სამგორის რაიონში, მე-8 ლეგიონის დასახლებაში, გოჩა ონაშვილის ქუჩის №9-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი სადარბაზო გუშინ დილით 08.40 საათზე ჩამოინგრა. დაშავებულია ერთი გოგონა, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

**როგორც შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსმა ფრიდონ სადუნიშვილმა განაცხადა, „ჩამონგრევა იყო ვერტიკალური. ეს არის ე. წ „სენდვიჩური“ ჩამონგრევა. სახურავიდან ბეტონის ფილა ჩამოიშალა, რამაც გამოიწვია ერთოთახიანი ბინების მთლიანად ჩამოშლა“.**

**როგორც სადუნიშვილმა განაცხადა, სავარაუდოდ, ნანგრევებში მოყოლილია ერთი ადამიანი. თუმცა, ჯერჯერობით ამის დადგენა ვერ მოხერხდა. ტესტის მიუხედავად, სიგნალი არ ყოფილა, არის თუ არა ნანგრევებში ცოცხალი იქ ვინმე. კორპუსის გაწმენდა დღის ბოლომდე დასრულდება და ამის შემდეგ გახდება ცნობილი, მოჰყვა თუ არა მსხვერპლი სახლის ჩამონგრევას.**

**შემთხვევის ადგილზე მივიდა ქალაქის მერი გიგი უგულავა, ასევე „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენლები და ისნის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატებიც.**



## სტრასბურგის სასამართლოს დასტური

**ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას ადვოკატებს სტრასბურგის სასამართლოდან დადასტურება გამოუგზავნეს, რომლის თანახმადაც ევროსასამართლომ ამ საქმეს პრიორიტეტი მიანიჭა და საბოლოო გადაწყვეტილებისთვის საქართველოდან შემაჯამებელი დოკუმენტები მოითხოვა. დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, დაცვის მხარე 24 სექტემბერს სტრასბურგის სასამართლოში დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შემაჯამებელ დოკუმენტაციას გაუგზავნის. მისი თქმით, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო გადაწყვეტილებას უახლოეს ხანში გამოიტანს.**

**თბილისის საოლქო სასამართლოში 11 საათზე მირცხულავას საქმის განხილვა უნდა განახლდეს. პროცესზე საბუღალტრო ექსპერტები დაიკითხებიან.**

**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ძალით, ადვოკატებს მირცხულავას წინასწარი პატიმრობის უკანონობის დადასტურება სურთ და გარდა ამისა, სარჩელის თანახმად, მოითხოვენ მორალური ზიანის ანაზღაურებას 500 ათასი ევროს ოდენობით.**

**ინტერპრესნიუსი**

⊙ ოპოზიცია

# რუსლანას კატასტროფა და სხვა კანონდარღვევათა „გაპრავება“

## ასე მოიხსენიებენ რესპუბლიკელები საბიუჯეტო ცვლილებებს

**მთავრობამ პარლამენტს 26 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა. თუმცა, იმას, რასაც ხელისუფლება ბიუჯეტის გაზრდას უწოდებს, ოპოზიცია ფარსად მიიჩნევს. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა აზრით, ეს პროექტი პარლამენტის აბუჩად აგდების მორიგი მკაფიო მაგალითია.**

– შემოთავაზებული საბიუჯეტო ცვლილებებით მთავრობა ცდილობს, მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობის დახმარებით მიჩქმალოს საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ შესაბამისი სარეზერვო ფონდების მეშვეობით ათობით მილიონი ლარის უკანონო ხარჯვა და ეს ცვლილებები სხვადასხვა სამინისტროსა თუ პროგრამის დაფინანსების ზრდად წარმოადგინოს, – ამბობენ რესპუბლიკელები. იმის დასამტკიცებლად, რომ დღეს თითქოს სხვადასხვა უწყებისთვის დამატებული თანხა სინამდვილეში უკვე დახარჯულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა.

სანამ მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებების პროექტს დაწვრილებით განიხილავდნენ, ივლიანე ხაინდრავამ ხაზი გაუსვა განმარტებითი ბარათის ბუნდოვანებას. მისი თქმით, კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან არ ირკვევა, 26-მილიონიანი ზრდის ასახვას რომელ მუხლებში და რა მიზნით აპირებს მთავრობა. რესპუბლიკელების აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს პარლამენტიც და საზოგადოებაც. ივლიანე ხაინდრავამ აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ ოპოზიციონერთა აზრი არ არის, მათს შეხედულებას საფინანსო თუ სხვა კომიტეტების დასკვნებიც ემთხვევა.

იმის დასამტკიცებლად, რომ „გაზრდილი“ თანხა უკვე დახარჯულია, შეხვედრაზე რამდენიმე მაგალითი მოიყვანეს. მაგალითად, ცვლილებათა პროექტში გათვალისწინებულია „მოსახლეობის მხარდაჭერა საგაზაფხულო სახნავ-სათესი სამუშაოების ჩასატარებლად (საწვავის შესაძენად)“, რისთვისაც 15 მილიონზე მეტი ლარია გამოყოფილი. რაკი წელს გაზაფხული მეორედ ვერ მოვა, ცხადი ხდება, რომ საქმე მოსახლეობისთვის რამდენიმე თვის წინათ დარიგებულ დიზელის საწვავს ეხება. რესპუბლიკელები ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ მარტში პრეზიდენტის განკარგულებით საწვავის შესაძენად 13 560 000 ლარი გამოიყო, მაშინ როცა ქვეყნის მეთაურის ფონდი მხოლოდ 10 მილიონ ლარს შეადგენდა. მოგვიანებით, ამ მიზნით დამატებითი თანხაც გამოიყო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონაცემებით, შეძენილი საწვავის დიდი ნაწილი (რომელიც მთავრობამ თურმე მოსახლეობას ვერ მიაწოდა) საჩუქრად გადაეცა თავდაცვის სამინისტროს. ამ და სხვა ფაქტების მოშველიებით რესპუბლიკელები ამტკიცებენ, რომ მთავრობა სწორედ პრეზიდენტის მიერ კანონის დარღვევით დახარჯული ფულის „გაპრავებას“ ცდილობს ბიუჯეტში მესამედ შეტანილი ცვლილებების პროექტით.

თინა ხიდაშელმა საზოგადოებას გააცნო ნაწყვეტი ფინანსთა მინისტრის კვარტალური ანგარიშიდან, რომელიც პირველი სამი თვის დასრულების შემდეგ წარედგინა პარლამენტს: „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 10 მილიონი ლარით. 2005 წლის პირველ კვარტალში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 25 562,1 ათასი ლარი, რაც 23 062,1 ათასი ლარით აღემატება გეგმით განსაზღვრულ მაჩვენებელს



და 15 562,1 ათასი ლარით ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს“. ხიდაშელის თქმით, ფინანსთა სამინისტრო ამ ხარჯის კორექტირებას და პრეზიდენტის ფონდისთვის თანხის გაზრდას ითხოვდა. ასეც მოხდა, თუმცა, საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა და ბიუჯეტში მორიგი ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. რესპუბლიკელებისა და ექსპერტების თქმით, საბიუჯეტო ცვლილებების პროექტში კანონდარღვევის მიჩქმალვის მრავალი მცდელობაა. ყოველი უწყებისა და პროგრამისთვის „გამოსაყოფი“ თანხა, როგორც ითქვა, უკვე დახარჯულია. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში საერთოდ აღარ იქნება გათვალისწინებული თანხა სოციალური დახმარებისთვის.

– ფინანსთა მინისტრმა თქვა, – მართალია, სოციალური დახმარება მცირდება, მაგრამ ემატება სხვა სტრუქტურებს, მაგალითად, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტსო. საბიუჯეტო ცვლილებების თანახმად, ამ დეპარტამენტს თითქოს 200 ათასი ლარი ემატება, მაგრამ ეს თანხა, მთავრობის განკარგულების თანახმად, უკვე დახარჯულია 9 მაისს ჩატარებულ ღონისძიებებზე. კულტურის სამინისტროსთვის „გამოსაყოფი“ თანხაც დახარჯულია უკრაინელი მომღერლის რუსლანას კონცერტისთვის, რომელიც 26 მაისს გაიმართა, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

რუსლანა შეხვედრაზე მოგვიანებითაც ახსენეს. დავით უსუფაშვილმა მოიხმო კანონი, რომელიც პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების სამართლებრივ რეჟიმს აწესრიგებს. კანონის თანახმად, ამ ფონდებიდან სახსრები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისთვის უნდა გამოიყოს, როგორიც არის ბუნებრივი თუ სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები. – რუსლანა ნამდვილად კატასტროფაა და ამიტომ დააფინანსეს მისი კონცერტიო, – თქვა ღიმილით.

რესპუბლიკური პარტია საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი თანამდებობის პირებისგან პასუხს ითხოვს რამდენიმე შეკითხვაზე: 1. რომელი კანონის რომელი მუხლით სარგებლობს საქართველოს მთავრობა, როდესაც რამდენიმე თვის წინათ კანონის დარღვევით დახარჯული ათობით მილიონის ე.წ. „კორექტირებას“ ითხოვს პარლამენტისგან? 2. რომელი კანონის რომელი მუხლით სარგებლობდნენ საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, როდესაც აგრძელებდნენ ხარჯების გაღებას დიდი ხნის წინათ ამოწურული სარეზერვო ფონდებიდან? 3. რომელი კანონის რომელი მუხლის საფუძველზე ავალებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი აღნიშნული განკარგულებების სასწრაფოდ აღსრულებას მისდამი დაქვემდებარებულ უწყებებს? 4. რომელი კანონის რომელი მუხლის საფუძველზე ახდენდა საქართველოს კონტროლის პალატა კანონის პირდაპირი მოთხოვნის იგნორირებას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კვარტალური ანგარიშების პარლამენტში წარდგენის თაობაზე?

მთავრობა თავის ფულს ისე დახარჯავს, როგორც მოესურვებაო, – გაიხსენეს პრემიერ-მინისტრის სიტყვები შეხვედრაზე. ვახტანგ ხმალაძის თქმით, ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება ვერაფრით შეიგნებს, ეს ფული მთავრობის კი არა, ქვეყნის რომ არის.

დასმულ კითხვებზე მკაფიო პასუხების მიუღებლობის შემთხვევაში რესპუბლიკური პარტია საქართველოს პარლამენტში დაიწყებს იმპიჩმენტის პროცესს კონკრეტული თანამდებობის პირების წინააღმდეგ. ეს პირები კი, სავარაუდოდ, პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი იქნებიან.

**რუსუდან გახარია**

ვაი, ჩვენს პატრონს!

# გამანადგურებელმა სეტყვამ, თურმე... ინფლაციას გადავარჩინა

**ოდითგანვე ქართველი კაცი ვაზს შვილს ადარებს, პირმშოსავით უვლის, ზრდის, ელოლიავება, ეთაყვანება. მაგრამ დგება თურმე ცხოვრებაში პერიოდი, როცა დროის გარემოება გულიდან სიყვარულს ამოგაშლევინებს, ხელს უკუღმა შეგატრიალებინებს. რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, წესით და რიგით ამ მადლიან ვენახს ჩვენში უფრო უნდა გაეხარა, ფესვი გაედგა, არადა, პირიქით ხდება. ბოლო წლებში გლეხი ყურძენს აოხრებს, ატიალებს, თავად ვაზს კი ცულსა და წალდს უღერებს. რატომ? რატომ აიყარეს გული ყურძენზე ამ ძველისძველ ღვინის ქვეყანაში?**

იმ „დაწყევლილი" კომუნისტების მიერ აგებული ღვინის ქარხნების გაჩანაგება-გაყიდვამ, ყურძნის მასობრივი ჩაბარების ძალით მოსპობამ გლეხი ღვთის ანაბარა მიატოვა. მარტო მევენახეობა კი არა, დაკნინდა მეჩაიეობაც, მეხილეობაც, მეციტრუსეობაც. სოფლის მაცხოვრებელი ხელისუფლებამ მიატოვა გარდაქმნების ოკეანეში, მიატოვა ისე, რომ მაშველ რგოლს ვინ ჩივის, ხავსიც არ მიაწოდა ხელის ჩასაჭიდებლად.

ნათქვამია, ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო. მე ახლა, როგორც კახელს, ვენახი და ყურძენი მადარდებს. ყოველ რთველობას, კახელი გლეხი, რომელსაც ყურძენი ვენახში უჭკნება, შარაგზაზე დგას და გამვლელ-გამომვლელს ყელის გამოღადვრით ეხვეწება, – მოდი, მუქთად წაიღე, დალპობას რას გამოვრჩებიო. მუქთადაც არ მიაქვთ და! კილოგრამში 20-25 თეთრსაც არ იძლევიან, როცა ამ ერთი კილოგრამით დაყენებული ღვინო შეიძლება 20-25 დოლარადაც კი გაიყიდოს!

მე გაოცებისგან პირი დავაღე, როცა ერთი ტელეგადაცემა ვნახე ჰოლანდიელ ფერმერებზე. თურმე სახელმწიფო მათ თითო ძროხაში 5 000 დოლარს აძლევს ყოველწლიურად, რათა ეს ძროხა კარგად გამოკვებონ, რძე ბლომად მიიღონ და გაასაღონ. 5 000 დოლარს! ასევე უხვად უხდიან მეყვავილეებს, ტიტების მომყვანებს. ეხმარებიან სოფლის მცხოვრებლებს ამერიკაშიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც, გერმანიაშიც, იტალიაშიც... არ დაეხმარებიან და... ჩამოზიდეს რამდენჯერმე ავტომანქანებით სოფლის მეურნეობის პროდუქტები ვაშინგტონშიც, ლონდონშიც, რომშიც და პირდაპირ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში დაყარეს...

ჩვენში? დახმარებას, კრედიტის მიცემას ვინ ჩივის, ყურძნის უხვ მოსავალს ლამის ქვეყნის დაღუპვას აბრალებენ. არა გჯერათ?

ჯერ კიდევ 1993 წელს, როცა ქართული კუპონი ისედაც თხლესავით უფასურდებოდა და უსუსური ბავშვივით დღეში, ბარე, ათჯერ ეცემოდა, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა ერთხმად დაამტკიცეს, რომ „ბოლო ინფლაციის სპირალი მნიშვნელოვნად განაპირობა ყურძნის დამზადებაზე გაცემულმა 125-მა მილიარდმა კუპონმაო". ცოტა ადრე 125 კი არა, 180 მილიარდი კუპონი მისცეს კერძო სამრეწველო ფირმებს. მაშინ ხმა არავის ამოუღია. გლეხებზე კი ყველა აყაყანდა.

იმხანად მთლიანად კახეთში (გახსოვთ, ალბათ, ომისშემდგომი პერიოდი იყო), 65 ათასი ტონა ყურძენი მოიკრიფა და ისიც ხელისუფლებას ყელში ამოუვიდა, გლეხები გატანჯა, 4-5 წლის მანძილზე ყურძნის საფასური არ გადაუხადა, ზოგის ვალი დღემდე შემორჩა. ახლა რას ვშვრებით, 2005 წელს, როცა ხელისუფლებაც გამოიცვალა და ვარდების რევოლუციის შემდეგ გულში რაღაც იმედიც ჩაისახა? რას ვშვრებით და, უარესს! ამერიკა 295 მილიონ დოლარს გვჩუქნის, ყურძნის დამზადებაში კი 1 ლარსაც არავის ვაძლევთ. ვაძლევთ კი არა, ვაზს ადრინდელ ბრალდებას ვუყენებთ, დიახ, ბრალდებას. აი, 16 სექტემბერს რა ინფორმაცია გაავრცელა ინტერპრესნიუსმა:

„ყურძნის მოსავლის მთლიანად დამზადებამ, შესაძლოა, ქვეყანაში ინფლაციური პროცესები გამოიწვიოს. ამის შესახებ დღეს განცხადება **პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრმა ზურაბ ტყემალაძემ გააკეთა.**

მისი თქმით, ეს დასკვნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით გამოაქვს.

– სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, წელს საქართველოში 300 ათასი ტონა დამზადდება. თუ 1 კილო ყურძენი მინიმუმ 40 თეთრად გაიყიდა, ყურძნის მთლიანი მოსავლის შესყიდვის მიზნით მიმოქცევაში დამატებით კიდევ 120 მილიონი ლარი დატრიალდება. **ამ თანხის მიმოქცევაში გასვლამ, შესაძლოა, ქვეყანაში ინფლაციური პროცესები გამოიწვიოს, – განაცხადა ტყემალაძემ.**

მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სპეციალური პროგრამა, რადგან ყურძნის შესყიდვის გამო მიმოქცევაში გასულმა მილიონობით ლარმა ინფლაცია არ გამოიწვიოს **(და ბატონი ზურაბის ღვინის ბიზნესი არ დააზარალოს).**

როგორც ინტერპრესნიუსს ტყემალაძემ განუცხადა, „თუ სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით არ შემუშავდება, **300 ათასი ტონა ყურძნის მაგივრად, შესაძლოა, ქვეყანაში 50 ათასი ტონა ყურძენი დამზადდეს, დანარჩენი კი გაფუჭდეს".**

თავს ნუღარ შეიწუხებთ, ბატონებო! აღარც სპეციალური პროგრამა გჭირდებათ, აღარც სახელმწიფო პოლიტიკა. 18 სექტემბერს ისეთი სეტყვა მოვიდა კახეთშიც და ქართლშიც, რომ მოსავლის ნახევარი მიწაზე დასცა. ხოშკაკალა მოვიდა ისეთ ადგილებშიც, სადაც სეტყვა ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ჩამოვარდნილა (მაგალითად, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში). **გადავრჩით ინფლაციას, გიხაროდეთ! ლარი ახლა დოლარს ეჯიბრება და მაგის პრესტიჟის შელახვას მევენახეთა გულისხეთქვა და მისიკვდილება არა სჯობდა?**





რაც მთავარია, იმ 1993 წელივით, ინფლაციაზე საუბრისას ყელში ისევ მარტოოდენ ყურძენი გაიჩხირა, თორემ სხვა პროდუქტი კვლავ მშვენივრად გადაიყლაპა. ახლა მოვუხმობ 12 სექტემბრის ინტერპრესნიუსის ინფორმაციას: „საწვავზე ფასების ზრდა სექტემბრის თვის ინფლაციის მაჩვენებლებში აისახება. ამის შესახებ დღეს განცხადება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ გააკეთა.

მისი თქმით, საქართველო ბედნიერი ქვეყანაა, რადგან ზაფხულობით სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასები მცირდება და დეფლაცია აღინიშნება.

კომიტეტის სხდომაზე, სადაც 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს განიხილავდნენ, ინფლაციის საკითხი პარლამენტარმა ვაჟა კილაძემ დასვა. იგი დაინტერესდა, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დაანგარიშებული ინფლაციის მაჩვენებლები. ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ამაღლობელმა გააკეთა.

– ჩვენი მონაცემებით, 2004 წლის აგვისტოდან 2005 წლის აგვისტომდე ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 7,2 პროცენტი შეადგინა. თვეების განმავლობაში ეროვნული ბანკის და სტატისტიკის დეპარტამენტის მაჩვენებლები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ საბოლოოდ წლიური მაჩვენებელი ყოველთვის მსგავსი გამოდის, – განაცხადა ამაღლობელმა."

ხედავთ? ჩვენში ინფლაცია თურმე ისედაც მიაჭენებს, ყურძენს კი განტევების ვაცად ესახავთ. თუ ეს მოისპობა, ინფლაციაც ჩამოგვშორდება, აბა? ჰოდა, საამისოდ ნაბიჯებიც იდგმება. სიღნაღის რაიონში, მაგალითად, არ მუშაობს არც ერთი ღვინის ქარხანა (აქ ორია ღვინის კერძო ქარხანა, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ყურძენს ამუშავებენ). სიღნაღში უკვე გააუქმეს რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველო, რომელიც აქამდე მევენახეებსაც მფარველობდა. ამიერიდან კი მათი პატრონი აღარავინაა.

**ისე, მარტო ზურაბ ტყემალაძეს კი არა, მთელს პარლამენტს უნდა ახსოვდეს, რომ საქართველომ 1998 წელს გამოსცა კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ". მის პრეამბულაში წერია: „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონის ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, კონკურენტუნარიანი ყურძნის ღვინისა და სხვა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვას".**

რაო, რაო? ხელი შეუწყოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასო? ყურძნის ღვინის წარმოებასა და რეალიზაციასო?

**გიორგი თათულაშვილი, სიღნაღელი მევენახე:** – შეიძლება ყოველ შემოდგომას კახელ გლეხს გული უსკდებოდეს ყურძნის ჩაბარებაზე? სირცხვილი არ არის, ეს უბედურება ტრიალებდეს ღვინის ქვეყანაში?

„ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონში ესეც წერია: **„ვაზის გენეტიკური რესურსები – აბორიგენული (ადგილობრივი) ჯიშები და ვაზის ველური ფორმები ეროვნული სიმდიდრეა, რომელთაც იცავს სახელმწიფო".**

ვინ იცავსო? სახელმწიფოო?

**იოსებ ტურიაშვილი, გურჯაანელი მევენახე:** – რა ოხრად-ღა მინდა ვენახი. ამდენი ბარვა, თოხნა, წამვლა, სხვლა, ფურჩნა... მოვიყვან მოსავალს და უნდა გადავყარო. ავჩეხამ, საზამთროს დავთესამ. ჰოდა, მერე ქორწილიც ყარფუზით გადავიხადოთ და ქელეხიც.

რას მოვესწარით? ვაზი მარტო გაზაფხულზე კი არა, უკვე შემოდგომაზეც ტირის!

**ბონდო გულიაშვილი**

ინფორმაცია

## ქარხანა აუქციონზე გაიყიდება

**ს/ს „ქუთაისის ლითოფონის ქარხანა" მილიონ დოლარად იყიდება.**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს „ქუთაისის ლითოფონის ქარხნის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის (50.99 პროცენტი) პრივატიზების მიზნით აუქციონი გამოაცხადა, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 1 000 000 დოლარით განისაზღვრა.**

**საწარმოს საქმიანობის სფერო ლითოფონის, საქ-საღებავების, მიკროდაფქვილი ბარიტისა და კალციტის, საშენმასალათა, შაბიამნის და სხვა სამომხმარებლო საგნების წარმოებაა. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1 192 332 აშშ დოლარს შეადგენს. სააქციო საზოგადოების დებიტორული დავალიანება 25 143 ლარს, კრედიტორული – 7 225 ლარს შეადგენს.**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება გუშინ დაიწყო და 26 ოქტომბრამდე გაგრძელდება. აუქციონი 27 ოქტომბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება.**

## ადგილობრივ ხელისუფლებას სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ

**ქუთაისში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია „დახმარების საერთაშორისო ფონდმა" ადგილობრივი მთავრობა შეზღუდული შესაძლებლობების და სოციალურად დაუცველ პირთათვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულა. „დახმარების საერთაშორისო ფონდმა" გასული წლისა და მიმდინარე ექვსი თვის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგი განახორციელა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2004-2005 წლებში მრავალშვილიანი დედებისთვის განკუთვნილი 12 ათასი ლარი, განსაკუთრებულად გაჭირვებული მოქალაქეების 13500 ლარი და სამამულო ომის მონაწილეთა სარიტუალო მომსახურების 11600 ლარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.**



**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე „დახმარების საერთაშორისო ფონდის" ხელმძღვანელმა დავით სალარიძემ განაცხადა, თუკი ქუთაისის მთავრობა დაუყოვნებლივ არ წარმოადგენს აღნიშნული კატეგორიებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის დოკუმენტებს, მაშინ ისინი მასალებს გენერალურ პროკურატურას გადასცემენ.**

## მანამდე აზრი ჰქონდა, ახლა – აღარ აქვს

**საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორის, პოლკოვნიკ კობა ლაჭყებიანისა და სასწავლებლიდან დათხოვნილი კურსანტების მშობლების 22 სექტემბრის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.**

**როგორც გუშინდელი შეხვედრიდან გამოსულმა მშობლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რექტორმა მათ განუმარტა, რომ მინისტრის ბრძანება საბოლოოა და მისი გადახედვა აღარ მოხდება. მათივე თქმით, ლაჭყებიანმა ისიც აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს ამდენი ოფიცრის დასაქმება არ შეუძლია და ამიტომ, სასწავლებლის ფუნქციონერებას აზრი არ აქვს.**

**აკადემიის ხელმძღვანელობა კურსანტებს ოთხი წლით საკონტრაქტო სამსახურში გაწევევას სთავაზობს, თუმცა, ამ შემთხვევაში ისინი ჯარში არა ოფიცრის წოდებით, არამედ რიგით ჯარისკაცებად იმსახურებენ, რასაც კურსანტები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. მათი განცხადებით, საკონტრაქტო სამსახურში გაწვევას უმაღლესი განათლება არ სჭირდება, ისინი კი აკადემიაში უმაღლესი სასწავლებლის პროგრამას გადიოდნენ.**

**აკადემიის კურსანტებმა აკადემიის ტერიტორია დატოვეს და საპროტესტო აქციის გასამართად პარლამენტისკენ გაემართნენ.**

**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან მეორე და მესამე კურსის მსმენელები დაითხოვეს. კურსანტები, რომლებიც 16 სექტემბერს აკადემიაში გეგმის მიხედვით გამოცხადდნენ, სასწავლებელში აღარ შეუშვეს.**

**როგორც აკადემიის რექტორმა, პოლკოვნიკმა კობა ლაჭყებიანმა განაცხადა, აღნიშნული ფაქტი აკადემიაში განხორციელებულ რეორგანიზაციას უკავშირდება, რომლის საფუძველზეც ოფიცერთა მომზადება ოთხწლიანის ნაცვლად ერთწლიანი გახდა.**

## გამტაცებლები ფულს ითხოვენ

**გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში მცხოვრები ტურინ კაკულია, რომელიც დაახლოებით ოთხი დღის წინათ დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს, ჯერჯერობით ისევ ტყვეობაში იმყოფება. მისი ოჯახის წევრებმა მოსკოვში გამტაცებლებისგან მიიღეს ვიდეოფირი, სადაც ისინი კაკულიას გათავისუფლების სანაცვლოდ 60 ათას დოლარს მოითხოვენ.**

**ქართულმა მხარემ ამ გატაცების შესახებ 21 სექტემბერს საღამოს შეიტყო. ქართული მხარის წარმომადგენლებმა გუშინ ჭუბურხინჯში დასვეს ეს საკითხი.**

**როგორც ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯაფარიძე აცხადებს, იგი უკვე ესაუბრა აფხაზურ ადმინისტრაციას. თუმცა, ისინი აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია კაკულიას ადგილსამყოფელი და უცნობია ასევე გამტაცებელთა ვინაობა.**

**ინტერპრესნიუსი**

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა

# ჭკვიანი მტერი თუ უგნური მოყვარე?!

## ნუ დავცლით მთის სოფლებს

**ეს წერილი რაჭველებმა ონის რაიონის კვაშხიეთის თემიდან გამოგზავნეს. იგი ფრიად საყურადღეობოა, ამიტომ ოპერატიულად ვბეჭდავთ. ვფიქრობთ, ადრესატებიც ასევე ოპერატიულად გამოეხმაურებიან.**

კვაშხიეთის თემი განლაგებულია რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ხეორის ხეობაში (რიონის მარცხენა შენაკადი) და მოიცავს სოფლებს: კვაშხიეთს, ზუდალს, ხეითს, ზვარეთს, ბოყვას, ქორთასა და შრომის უბანს. თითოეული მათგანი ზღვის დონიდან 790-1260 მეტრზე მდებარეობს, რაიონული ცენტრიდან კი 5-13 კილომეტრით არის დაშორებული. არ არის რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი ტრანსპორტი, არც საფოსტო განყოფილება. ონში რომ ჩავიდეს კაცი, საშუალოდ 10 კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს. ამას მთის კლიმატური პირობები დაუმატეთ (დიდთოვლობა, წყალდიდობა) და ადვილად მიხვდებით, რომ თემის მცხოვრებნი ძირითადად, ერთმანეთის იმედით არიან, კრიტიკულ სიტუაციებში ყველაზე საიმედო სოციალური დაზღვევა მათი მტკიცე ხასიათი და თანადგომის უნარია.

თემის მცხოვრებთა საშუალო ასაკი 70 წელია. საქმიანობა – მესაქონლეობა და მიწათმოქმედება-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ... გუთნისა და თოხის იმედად 70 წლის კაცი რა მიწათმოქმედია? მოჰყავს იმდენი, რაც ოჯახს სჭირდება. გარდა ფიზიკური სიძაბუნისა, ამის მიზეზი არარენტაბელურობაც გახლავთ. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს იგივე ფასადაც კი ვერ ჰყიდის, რაც ჰერბიციდებითა და სასუქებით მოყვანილი, იოლად მოწეული მისი ანალოგი ღირს. რჩება მარჩენალი ძროხისა და რამდენიმე ღორის იმედად, რათა მტერმოყვარეს განთქმული რაჭული ლორით გაუმასპინძლდეს.

კვაშხიეთის თემს ტრადიციულად ჰქონდა თავისი ვეტუბანი და ჰყავდა ახალგაზრდა, კვალიფიციური და დაუზარელი ვეტექიმი ირინა მეტრეველი. იგი სოფელ ზუდალში ცხოვრობს. **ივლისში შევიტყვეთ, რომ შტატი გაუქმდა. ვეტექიმებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება შესთავაზეს,** გამომრჩა მეთქვა, რომ ვეტექიმი კვაშხიეთის თემის სოფლების გარდა, ემსახურება მაღალმთიან სოფელ შქმერს (1800 მეტრი ზღვის დონიდან, ონიდან 21 კილომეტრი) და სევას (960, 9კმ).

რა პერსპექტივას ხედავს სამომავლოდ ამ რეფორმის ავტორი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ გვაქვს ჩვენეული და, ალბათ, უფრო რეალური ხედვა... ლიცენზიას ვეტუბანზე არ ან ვერ შეისყიდის ი. მეტრეველი, რადგან ამ საქმეს პერსპექტივა არა აქვს.

სამწუხაროდ, კატასტროფულად მცირდება მოსახლეობის რიცხვი. ხელგეწიფებათ და მოითხოვეთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები და დარწმუნდებით, რა სავალალო მდგომარეობაა. რაც შეეხება პირუტყვის რაოდენობას, შეიძლება ერთ სულ მოსახლეზე მათი რაოდენობა არ იყოს სავალალო, მაგრამ ეს იმის ხარჯზე ხდება, რომ ერთი-ორი გამონაკლისი არსებობს, ვისაც დიდი რაოდენობით ჰყავს პირუტყვი.

ბიუჯეტს დაეზოგება სახელფასო ფონდი – 480 ლარი წელიწადში. ესაა ვეტექიმის წლიური ხელფასი. სამაგიეროდ ხეობას დააკლდება ერთი სანიმუშო ქართული ოჯახი (ხეობაში სულ ოთხი სასკოლო ასაკის ბავშვია და აქედან 2 ირინას შვილია). ისიც, როგორც ყველა, დედაქალაქს მიაშურებს და გაცილებით იოლად იშოვის 480 ლარს. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ვეტექიმს ვესარჩლები. არა, ბატონებო! **გამოსასარჩლებელი უვეტექიმოდ დარჩენილი მოხუცები არიან, ისინი ხმას ვერ მიაწვდენენ სათანადო შპს-ს, რომც მიაწვდინონ, ექიმის სოფელში ამოყვანა 30-დან 50 ლარამდე მაინც დაუჯდებათ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ზამთარში 10 კილომეტრის ფეხით გავლას მოსახლეობის თითქმის 99 პროცენტი** [illegible] მწირი ბიუჯეტი ამ ხარჯს ვერ გაწვდება. ზარალი სარგებელს აჯობებს და „უკანასკნელი მოჰიკანებიც" დროზე ადრე დატოვებენ სოფელს, ისინიც მოშლიან ფუძესა და კერას, რადგან ის საბაბი აღარ ექნებათ, შვილებსა და შვილიშვილებს რომ ეურჩებიან – ქალაქში რომ წამოვიდე, პირუტყვი ვის ჩავაბაროო?! **დაიკეტება ხეობა, დაედება ყველა კარს დიდი ბოქლომი. ასეთმა ფაქტებმა კი არაერთხელ გაგვამწარეს – ჩვენს მამაპაპეულ მიწებზე სხვები აცხადებენ პრეტენზიას.**



ცნობილია, რომ ხალხის ხასიათსა და იმ გეოგრაფიულ გარემოს შორის, რომელშიც იგი საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობს, შინაგანი კავშირი არსებობს. მაგალითს, რაჭის მუსიკალური ფოლკლორიდან მოვიყვან. „მაღლა მთას მოდგა" – რაჭული ორპირული სიმღერაა, ასახავს ოსეთსა და დვალეთთან ბრძოლას. გაგახსენებთ, რომ ზემო რაჭა ჩრდილო ოსეთსაც ესაზღვრება. ესეც ყურადსაღები ფაქტია. გადაშალეთ კავკასიის ეთნიკური რუკა და უმალვე მიხვდებით, რატომ შეიქმნა ეს სიმღერა, რომლიდან ნაწყვეტსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**„ქდელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი**
**ოსი და დვალი, სულამ დვალელი, ფეიქომერი.**
**– ომი შეიქმნა ცისკრისა ჟამსა გამთენიისა, გათენებასა, მზის ამოსვლასა,**
**ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა, შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა, ჩამოსცვიოდა მესამე დღესა".**

ასეთი აზროვნება მხოლოდ იქ შეიძლება დაიბადოს და არა რეზერვისტთა ბანაკებში, პატრიოტთა ყრილობაზე ან ფოლკლორის წრეში.

**დროა, ზღვარი დაედოს ხეობების დაცლას! უპირველესად, სახელმწიფოს სტრატეგიიდან გამომდინარე, არ შეიძლება სასაზღვრო რაიონების დაცლა. მეორეც, რაც ასევე მნიშვნელოვანია, არც ეროვნული კულტურის გაღარიბება შეიძლება.**

**გამოესარჩლეთ საქართველოს, ნუ დაუკარგავთ თუნდაც ერთ ფერს! იმოქმედეთ მომავლის ფაქტორის გათვალისწინებით. დროებით გვერდზე გადადეთ თქვენი ბიზნეს-გეგმები, კავკასიის ეთნიკურ და ფიზიკურ რუკას დახედეთ და გაითვალისწინეთ, რომ მამისონის უღელტეხილის მიღმა სხვა სახელმწიფოა, ხოლო სიმბოლური საზღვარი, რეალურად, ადგილობრივი მცხოვრებლებით არის გამაგრებული.**

საქართველოს მთისწინეთი და, მათ შორის, ჩემი ხეობა, ის იშვიათი ეკოლოგიურად სუფთა გარემოა, რითაც ასე ღარიბია ჩვენი პლანეტა. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ეს დიდი უპირატესობა და გამოყოს სუბსიდიები სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიურად სუფთა საწარმოო ტექნოლოგიების დასანერგად. ასე მნიშვნელოვანი შემოსავალიც გაუჩნდება ბიუჯეტს და რეგიონიც გამოცოცხლდება. ვეტექიმის წლიური ხელფასი კი, ალბათ, სამინისტროს ერთი თანამშრომლის ტელეფონზე სალაპარაკო ლიმიტს თუ გაწვდება. დღეს მომაკვდინებელია ამ რეგიონისთვის თქვენი რეფორმა და რეფორმის ავტორი – „ან ჭკვიანი მტერია, ან უგნური მოყვარე".

**ჩემი წერილის ადრესატებს ვთხოვ ამავე გაზეთის საშუალებით გამოეხმაურონ ჩემს წერილს და თუ ჩვენი არგუმენტები უსაფუძვლოა, დაგვარწმუნონ, ხოლო თუ სამართლიანია, მაშინ ვეტექიმისთვის გამონახონ თანხები.**

**ნარგიზა გოშაძე**
**კვაშხიეთის თემი**

ვიტოვებთ იმედს...

# საუკუნის დანაშაული

## გადავარჩინოთ მეტალურგიული კომბინატი!

**„ხალიბაურთა" დარბაზისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საერთო შეკრებაზე 2005 წლის 9 სექტემბერს მიიღეს მიმართვა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

**რაც დღეს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ხდება, საუკუნის დანაშაულია. დიდი ხანია, ქვეყნის ეკონომიკურ ბურჯს – მეტალურგიულ კომბინატს, მიზანმიმართულად ანადგურებენ. რუსთავის მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება. იცლება ქვეყნის აღმოსავლეთი კარიბჭე, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ქალაქი.**



ბოლო წლებია, მეტალურგიულ კომბინატში ინვესტორს ინვესტორი ენაცვლება და ყოველი ახალმოსული ინტენსიურად განაგრძობს სახელმწიფო ქონების გაჩანაგებას კომბინატის ჯართად დაჭრითა და დატაცების გზით. ამის ნათელი მაგალითია რუსულ-იტალიური კომპანიის „არეს ინტერნეიშენალის" მოღვაწეობა.

უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება ამ კომპანიისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო გენერალური პროკურატურის მიერ აპრილში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. დღეს ისინი კვლავ კომბინატში არიან და მათ ყოველდღიურ გამაჩანაგებელ ქმედებებს არავინ აკონტროლებს. ეჭვს აღარ იწვევს, რომ მათ ხელისუფლებაში ძლიერი ლობი ჰყავთ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ კომპანიის წარმომადგენლებს არაერთხელ ხმამაღლა განუცხადებიათ მფარველის როლში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის სახელი.

კომბინატის დღევანდელი მდგომარეობა საგანგაშოა. მოუთმენლად ველოდით საპრივატიზაციო ტენდერის გამოცხადებას. სამწუხაროდ, კომბინატი აუქციონზე იყიდება უპირობოდ – ჯართად. ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში ქვეყნის პრეზიდენტს მივმართეთ წერილით, რომელსაც ხელს აწერდა 7595 მეტალურგი და რუსთავის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ვითხოვდით კომბინატისათვის პროფილის შენარჩუნებას, სახელფასო-საპენსიო დავალიანების სრულად გასტუმრებას და პრივატიზაციაში მონაწილე კომპანიების საქმიანობის, პროფესიონალიზმისა და მათი ფინანსური გარანტიების შესწავლას, რითაც თავიდან ავიცილებდით წინა ინვესტორების შერჩევის დროს დაშვებულ გამოუსწორებელ შეცდომას. იმავდროულად, ჩვენ საპროტესტო აქციებით უნდობლობას ვუცხადებდით ბენდუქიძე-ალექსიშვილის გუნდსა და მათ ეკონომიკურ პოლიტიკას. სამწუხაროდ, ჩვენს მოთხოვნებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, წერილმა კი ეკონომიკის სამინისტროს პირველ პირთა ძალისხმევით პრეზიდენტამდე ვერ მიაღწია.

კომბინატის დღევანდელი მესვეურების საქმიანობა, რომლებსაც გაკოტრების რეჟიმი საშუალებას აძლევთ ყადაღამოხსნილი ქონებიდან უკონტროლოდ გაიტანონ დიდი რაოდენობით ჯართი და მოწყობილობა-დანადგარები, უფლებას გვიტოვებს აუქციონამდე დარჩენილი ყოველი დღე კომბინატისთვის მომაკვდინებლად მივიჩნიოთ.

მთავრობამ კონტროლზე უნდა აიყვანოს მეტალურგიული კომბინატის საკითხი და „რუსთავი არეს-მეტალურგიული კომბინატის" ხელმძღვანელების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო 2005 წლის აპრილში აღძრული სისხლის სამართლის საქმე № 9205398-ის მსვლელობა, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს მსვლელობა.

**ჩვენი უპირობო მოთხოვნაა:**

**ა) კომბინატს შეუნარჩუნდეს წარმოების პროფილი;**

**ბ) სრულად დაიფაროს სახელფასო-საპენსიო დავალიანება.**

ვიტოვებთ იმედს, რომ რუსთავისა და ქართული მეტალურგიის ბედით დაინტერესებული ათიათასობით ადამიანის თხოვნა ამჯერად მაინც უყურადღებოდ არ დარჩება.

**დამოუკიდებელ მეტალურგთა კავშირი; მეტალურგთა პროფესიული კავშირი; ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველი"; „ხალიბაურთა დარბაზი"; რუსთაველ მხატვართა კავშირი; გაზეთი „რუსთავი"; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „იბერიელთა ორდენი"; რუსთავის პოლიტექნიკური კოლეჯი.**

# „საქართველოს კალთაში მიწევს და სისხლის ღვარებს ვყვავილნი...“

## მეგზაურობისას ცირა შალაშვილი

*ილიას ყვარელში გაზრდილი და აკაკის ქუთაისში გადედოფლებული ცირა შალაშვილი ათი პოეტური კრებულის ავტორი, წლების განმავლობაში გამორჩეული ხელწერის ჟურნალისტი, პუბლიცისტი და რედაქტორიც არის.*

*როგორც მოქალაქე და კალმოსანი, ის შეუვალი პრინციპულობით გამორჩეული პიროვნებაა. ისედაც კოლორიტულ ქუთაისს კიდევ უფრო ამშვენებს მისი კახური პირდაპირობა, წონიანი სიტყვა, უშურველობა. შარშან მისმა პუბლიცისტურმა პოემამ „ვერნისაჟი“ მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ეს იყო პოეტის „რჩეული ტკივილების გამოფენა“, რომელიც დღევანდელობის პრობლემებით არის დაღდასმული. ცირა შალაშვილის „ფიქრის წინ საკითხავი“ ნამცვრევები მცირე პროზის კლასიკური ნიმუშია. ლირიკული ლექსები კი – თანამედროვე ქართული პოეზიის შენაძენი.*

*აი, როგორ წარმოუდგენს პოეტი საკუთარ ნატურას „საქართველოს რესპუბლიკის“ გონიერ მკითხველს:*



საქართველოს დამსახურებული მხატვრის გივი თოდაძის ნახატი.

*– ვინ ხართ თქვენ?*

– ჩვეულებრივი ადამიანი, ხატად ღვთისად მოვლენილი ამ ქვეყნად, როგორც ამბობს სახარება.

*– რა არის თქვენთვის სამშობლო?*

– რაღაც უფრო მეტი, ვიდრე სიცოცხლე და სიკვდილია...

*– რას აფასებთ ადამიანში?*

– ბუნებრიობას, სიწრფელეს, უღალატობას, რა თქმა უნდა, სულის მშვენიერებასთან ერთად.

*– რა გიყვართ?*

– ყველაფერი ამაღლებული.

*– რა გძულთ?*

– სიძულვილის გრძნობა საერთოდ არ გამაჩნია.

*– სულისა და სხეულის შეფასებისას, რომელს ანიჭებთ უპირატესობას?*

– ესთეტობის მიუხედავად, პირველს და... ხშირად ისღა მრჩება ხოლმე, დანანებით ვუმზირო მეორეს.

*– თქვენი ოქროს ხანა...*

– ბავშვობა.

*– თქვენი მრწამსი.*

– ის, რაც მომადლებული, ღვთით ნაბოძებია ჩემში. მაშასადამე, ძალიან ცოტა წვლილი მაქვს მასში, ამიტომაც ის ხალხს და ქვეყანას ეკუთვნის.

*– ვინ არის ღმერთი?*

– ვინც წონასწორობას გვანარჩუნებინებს ყოფიერშიც და – მერეც.

*– სულის უკვდავებისა გჯერათ?*

– მჯერა. შეუძლებელია მოკვდეს იესო.

*– რა არის სიცოცხლე?*

– უფლება მარადისობის მოსაპოვებლად.

*– რა არის სიკვდილი?*

– მოუქრთამავი კარიბჭე ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასასვლელად.

*– რა არის სიკეთე?*

– ადამიანის არსებობის შინაარსი.

*– გიყვართ საკუთარი თავი?*

– ვისაც საკუთარი სიცოცხლე არ უყვარს, ის სხვასაც ვერ შეიყვარებს...

**სპარტაკ ძოგულია**

*ახლა კი გთავაზობთ ცირა შალაშვილის რამდენიმე ლექსს.*

# ცირა შალაშვილი

# ლექსთა კონა

### თვალებს ვუკოცნი

მგონია ხოლმე —
საქართველო ჩემი შვილია —
კალთაში მიწევს
და სიცხიან თვალებს ვუკოცნი.

### ჩვენი დრო

ისეთი ყალბი დროა,
ისეთი ყალბი დროა,
ისევ იშლება რომი,
ისევ ეცემა ტროა.
მეუფებს წუთით სოფელს,
ვისაც ამისი შნო აქვს —
მაინც იშლება რომი,
მაინც ეცემა ტროა...
ცას ჩამოსწყდება წამი,
ცრემლისნაირი როა —
ისეთი ყალბი დროა,
ისეთი ყალბი დროა...



### საკუთრება

ისე ისაკუთრებენ
ზღვას და ხმელეთს — ყოფითა,
თითქოს
აღარასოდეს
წავლენენ წუთისოფლიდან,
შენ მეგონე ჩემი და —
შენც ვიღაცის ყოფილხარ...

### დარდი

უფრო ირევა ქვეყანა
უფრო მატულობს ქაოსი,
არსად ჩანს ხელი უფლის და —
არსად ჩანს თავი
თაოსნის...

### ჩვენი დახურული სახლი

თქვენი სახლი —
სრა-სასახლე
მაღლა ისე იწევს,
ისე დასცქერს პატივაყრილ
ღრუბლებსა და ნისლებს.

თქვენი სახლი —
ვარსკვლავებს რომ
ლამის ხელით მისწვდეს
და მზის ჯიბრზე
მუჭა-მუჭა
ისვრის ოქროს ისრებს —
ჩემი სახლი
ცის გრილში დგას
და ჰირჯვარსაც იწერს...
ჩალით არის დახურული
ჩემი სახლი ისევ...

### „მზე დედაა ჩემი“

**პერიფრაზი ხალხური ლექსისა**

მზე დედაჩემი არ არის,
მზე დედა არის შენი,
ამოვა — თან ამოჰყვები,
წავა — მზადა გყავს ცხენი.
აბა, მე როგორ შემამჩნევ,
ის შენზე ისე ზრუნავს,
მაგრამ — ჩვენ მაინც შევხვდებით —
დედამიწა ხომ
ბრუნავს!..

### ციდან ცაზე...

ქარმა მარადიულობის
მტვერი მხრებზე მომაყარა.
აშრიალდა ღრუბლებს ქვემოთ
არაგვი და ოქროყანა —
ჩამოიხსნა წვიმის კიბე —
ციდან ცაზე ამიყვანა,
საგზალივით დამადევნა
„ურმული“ და „ოი, ნანა“ —
ქარმა მარადიულობის
მტვერი მხრებზე მომაყარა.

### რიონს

ყოველ დილით ვესალმები რიონს —
გამარჯობა, ფასის ვაჟო, რიო,
სულივით რომ სულ თან დაგდევს
სიო
და სიცოცხლედ სწორედ იმას
თვლიო,
რომ სხვასავით სულ სხვისას
არ შლიო,
რომ ათასჯერ არც კერავ,
არც ჭრიო,
რომ სიშმაგეს სულ ბოლომდე ცლიო
და ზღვისკენაც ისე იჩქარიო,
არასოდეს
გზას არ ირჩევ იოლს —
გამარჯობა,
ფასის ვაჟო, რიო,
გამარჯობა, რიო!..

### მეგრული ზღაპარი

ესვეოდა იდუმალი
მთვარის შუქი მწვანე ფშანებს,
შენ ვერავის მიგამგვანე,
ვერავისში შემეშალე.
ბუტბუტებდა ღამე ჩელას
ბგეროვანი შენალოცით.
სადღაც — მთვარედალეული
ტყიშმაფა და ოჩოკოჩი,
სამეჯლისოდ გამოწყობილ
ტყეს უვლიდნენ ჟრუანტელად.
„ჩელა“ ისე ჰგავდა ჩელოს,
ჩელო ისე სდევდა „ჩელას“ —
ცისკენ აწვდილ მაფშალიას
გული ამოჰქონდა ყელით
და სიცოცხლე იყო ისე
სევდიანად სანატრელი —
რაღაც არაამქვეყნიურ
მოლოდინში თვლემდა წყარო —
გრძნეულებდა თუთარჩელას
ცხელი სიზმრით სამეგრელო...



* * *

რა სულელი ვარ —
ბედნიერებასთან მოვინდომე
ჯვარის დაწერა
და სულ აღარ გამხსენებია
მარტოობა —
მარადიული ჩემი მეუღლე —
დაბადებამდე რომ ვიქორწინე
და — მეორედ
ჯვარს ვინ დამწერდა...



### ზღაპარი იყო

დავიწყების მდინარემ
ხიდი ზღვისკენ წაიღო,
თითქოს — ზღაპარი იყო და —
არაფერიც არ იყო...
წარსული და მყობადი
ისე ცივად გაიყო —
ნეტავ, მართლა იყო, თუ —
არაფერიც არ იყო.
ერთის გული სხვა იყო,
მეორისა — სხვა იყო.
იქნებ — ერთი ზღვა იყო.
მეორისა ქვა იყო —
ვეღარაფერს ვიხსენებ —
როგორ იყო —
რა იყო —
იქნებ,
სულ არაფერი,
არაფერიც არ იყო.
ზღაპარი იყო...
იყო და — არაფერიც
არ იყო.

### როცა ლექსი არ გამოდის

**(ხუმრობა)**

ე, ხელუხლები ფურცელი
კალამს საწამლოდ გაიწვევს.
ცხრა მინდორს გახდის საწუნოდ,
ცხრა ღრუბლის კარავს დაიცემს,
სურნელოვანი ბალახის
საგებს ნეტარად ჩაიხვევს,
თან გაეშლება საფეროს,
თან — კაბას მუხლს არ აიწევს...
მერე — წავა და ტოლებში
ტრაბახს კისკისით დაიწყებს.

### სიზმარი

დედაჩემი მესიზმრა წუხელ
და —
რომ ენახა,
რა ბედნიერს გამომეღვიძა —
აღარასდროს
არ მოკვდებოდა...

⊙ გავყიდოთ თუ გადავყაროთ?

# ფალსიფიკაციას გლეხთან რა ხელი აქვს?

## დილის რეპორტაჟი ყურძნისა და ხილის ბაზრობიდან

**კახეთის ძირძველ სოფლებში რთვლის სამზადისი უკვე დამთავრდა, ჰაერში კი ბადაგის, ჩურჩხელის სუნი ტრიალებს.**

ტრადიციულად რთველი კახეთში ხირსიდან იწყება. მერე კი ზედა ზონისკენ „მიცოცავს“. სადარდებელი ადრე ნაკლებად ჰქონდათ, დახუნძლულ ვაზს რომ შეხედავდა, მევენახეს დაღლაც ავიწყდებოდა და ის ჭაპანწყვეტა თავის ფინანსებით, რაც მას შეალია. იცოდა, ვაზი დაუფასებდა გარჯას.

ახლა? ახლა ჰაერში გამოკიდებულივით არიან. შავ ყურძენს კი ჩაიბარებენ, მაგრამ თეთრის ხსენებაც არავის უნდა. მა, რქაწითელს რა ვუყოთ, ჯო?! – კითხულობენ გლეხები, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხი არავის აქვს. ამბობენ, ქარხნებისა და მარნების მესვეურთ პირი აქვთ შეკრული, მოლაპარაკებულნი არიან, რაც შეიძლება იაფად აიღონ რქაწითელი, 20, 25 თეთრად, მეურნეს მეტი რა ჩარა ექნება. იძულებული გახდება და ჩაგვაბარებსო. მაგრამ სამართალი? ტყის ტყემალსაც კი, თურმე, 30, 40 თეთრად ყიდულობენ ადგილზე. რქაწითელი კი 25 თეთრი? ვინ ანგარიშობს, რა უჯდება გლეხს ერთი „პლანი“ ვაზის მოვლა? არავინ...

ამ დღეებში რკინიგზის სადგურის მარჯვენა მხარეს, ფიროსმანის (აფსუს, ნიკალა!) ქუჩაზე მდებარე ერთ უბადრუკ ბაზარში დილაუთენია მივედი. იქ, წესით და კანონით, მხოლოდ საბითუმო ვაჭრობა უნდა იყოს და არა შერეული. ბაზრის ხელმძღვანელობაც, ალბათ, ამ მიზეზით არ დგამს აქ დახლებს, ხომ ვხედავ, როგორ ყრია ტალახში პამიდორი, კარტოფილი, ბადრიჯანი, მწვანილი, იქვეა ნაგავიც, რომელიც, ალბათ, აქედან იშვიათად გააქვთ... (მაგრამ ეს სხვა თემაა...)

ზოგიერთ მოხერხებულ მოვაჭრეს სახელდახელო დახლიც გაუკეთებია და ჩამოსაჯდომიც, მიუხედავად ამისა აქაურობა ნაკლებად ჰგავს ბაზარს, მით უმეტეს კი თანამედროვეს. სამაგიეროდ, ეს არის ადგილი, სადაც თავს იყრიან კახეთიდან და ქართლიდან მომავალი ხილითა და ბოსტნეულით დახუნძლული „მარშრუტკები“.

აქ, თურმე, დილის 3-4 საათზეა გახურებული ვაჭრობა. მე ცოტა დამაგვიანდა, თუმცა ჯერ 6-იც არ არის. ელოდებიან მეორე რიგს, 10-11 საათზე რომ ჩამოვლენ. ბევრი ხალხი ირევა, ძირითადად – ისევ მოვაჭრენი. ნამდვილი მყიდველი ჯერ არ ჩანს.

– ეს როგორ?

– ხომ ხედავთ, ქალბატონო, იმ „მარშრუტკას“, გურჯაანიდან ჩამოვიდა. თქვენ რა გგონიათ, შიგ ქალები რომ სხედან, ვინ არიან? აქედან წასული მოვაჭრენი, მანქანა დაქირავებული აქვთ. მძღოლს თითო ვედროში ერთი ლარი ეკუთვნის, თითოს 6-10 ვედრო ყურძენი მაინც ექნება



ყუთებით ჩამოტანილი. ამ ქალებს იქ აქვთ ნაყიდი, ახლა აქ გაყიდიან და შენ ან შენისთანა რომ მივა ბაზარში და ყურძნის ფასს იკითხავს – ნუ გაგიკვირდებათ – 1,2-1,3 ლარიო, ეტყვიან, ასე რომ, თქვენ „მეოთხე ხელი“ იქნებით. იმ სამ „ხელსაც“ ხომ რაღაც უნდა დარჩეს? ასე რომ, თუ ადგილზე ერთ ვედრო ყურძენში 4-5 ლარი გადაიხადა, აქ 10-11 ლარია, ზოგჯერ მეტიც, ყურძენს გააჩნია, ხედავთ, რას უძლებს ჩვენი რქაწითელი?

ჩემი რესპონდენტი გურჯაანელია, საუბარი კი გააგრძელა, მაგრამ არაფრით ვინაობა არ გაამხილა, – რა ვიცი, იქნებ შავკერო ქარხნის უფროსი და ცოტა მაინც ჩავაბაროთო, – ამის შიშით.

***– მითხარით, მაინც რა სიტუაციაა სოფელში, რთველი კარს მოგვადგა, იცით, მაინც სად უნდა ჩააბაროთ?***

– რო ჩავაბარო, ვინ იბარებს, ყველა ჩუმადაა, ლაპარაკიც არ უნდათ. ყოველ შემთხვევაში, „რქაწითელს“ არავინ იბარებს, შავს – კი.

***– საფერავს რა ფასში იღებენ?***

– ადრე ნამდვილ საფერავში 2 ლარს გვიხდიდნენ. ახლა ამბობენ, 60-70 თეთრი იქნებაო, მაშ, ცოდო არა ვართ, ხალხნო, ღმერთი არა გწამთ? რა ვქნათ, ავკაჭოთ? ადრე სულ რქაწითელს გვაშენებინებდნენ, რაოდენობა როცა აინტერესებდათ, ახლა არაო, როდემდე ასე? ჩვენ რა დავაშავეთ. ამდენ მილიონ დოლარს ჩუქნიან საქართველოს და კრედიტები მაინც მიეცათ ქარხნებისთვის, ახლა იმიზეზებენ, ფული არა გვაქვსო, თუკი საფერავის ფული აქვთ?

იხ. მე-6 გვ.

⊙ ყოფა

# როცა გაიმელობენ, აქციაზე მათთან ერთად დადგე!

**როდესაც აქციაზეა ლაპარაკი, ბევრ ვინმეს ტანში გააჟრჟოლებს, ბევრს კიდევ ღიმილი და სიამოვნება დაედება სახეზე. კიდევ უფრო სხვას, სერიოზულ ნოტაზე „ააჟღერებს“ და ქვეყნის ხვალინდელ დღეზე დააფიქრებს. არის აქცია, როდესაც ხალხი მკაცრად მოითხოვს თავისი უფლებების დაცვას.**

სწორედ ამგვარი აქცია გამართეს ვეტერანთა გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა ამას წინათ და მის პერმანენტულად გაგრძელებასაც „დაგვპირდნენ“ თუ საკითხი საბოლოოდ არ იქნება შესწავლილი და დადგენილი. და რაც მთავარია, დაკმაყოფილებული!

არადა, არც ისე ბევრს მოითხოვენ ეს პატიოსანი ადამიანები: – ნუ დავყოფთ ხალხს პრივილეგირებულ და უბრალო „კასტებად“, ნუ ვაძლევთ საფუძველს კიდევ უფრო გავაღრმავოთ „მამათა და შვილთა“ შორის კონფლიქტი და, რაც ეგზომ დასაფიქრებელია, მთავრობის ყოველ ცვლილებაზე „ჩვენი საჭიროების“ მიხედვით ნუ ვცვლით კანონებს! მართალია, სამწუხაროდ, არის „ერთჯერადი“ კანონპროექტები, კანონქვემდებარე აქტები და კანონებიც კი, რომელთა გაუქმება-არგაუქმებით, დიდი ზიანი არ მიადგება ამა თუ იმ სფეროს, მაგრამ, როდესაც პენსიონერებზე, ვეტერანებზეა საუბარი, აქ ცოტა ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან მათთან ხუმრობა არ შეიძლება, მათ მხარესაა გამოცდილება და ცოდნა! მართალია, ბევრისთვის ამ ცოდნას და გამოცდილებას ყავლი გაუვიდა, მაგრამ არ არსებობს ცხოვრების რომელიმე სფერო, სადაც თავისი მაღალნიჭიერება და საერთო ერუდიცია არ გამოევლინოს „მშობლიურ კედლებში“ სწავლამიღებულ ქართველ კაცს, არ ეთქვას თავისი სიტყვა და ეს თვით „ოკეანისგაღმელებსაც“ და „გამოღმელებსაც“ არაერთხელ უღიარებიათ.

როდესაც პირადად შევხვდი ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირის „მიზანი-2005“-ის თავმჯდომარეს ნოდარ ცოტნიაშვილს და ვთხოვე განემარტა, თუ რა შინაარსი ჰქონდა იმდღევანდელ ღონისძიებას, მან ოფისში მიმიწვია და აი, ახლა თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ გორგაძესთან ერთად მის კაბინეტში ვსხედვართ.

საუბრის თემა მეტად აქტუალურია:

**პირველი** – ძალოვანი სტრუქტურების იმ თანამშრომლებს, რომლებიც 2004 წლის ივნისამდე გავიდნენ პენსიაზე, უფლება ჰქონდათ მიეღოთ ერთჯერადი დახმარება 10 თვის ხელფასის ოდენობით, ხოლო, რომლებიც სამსახურს ტოვებდნენ პენსიაზე გაუსვლელად (ვისაც არ შესრულებია საპენსიო ასაკი), უნდა მიცემოდათ 5 თვის ხელფასი. მთავრობამ ეს ბრძანებულება გააუქმა და მათ მხოლოდ განახევრებული ოდენობით მისცეს კუთვნილი თანხა.

**მეორე** – მთავრობამ საბიუჯეტო კანონში ცვლილებები შეიტანა, რომლითაც სამინისტროებს (მინისტრებს) მიეცათ უფლება თვითნებურად, შემცირებული და ქუჩაში „გაყრილი“ ხალხის ხარჯზე გაეზარდათ ხელფასები, რაც თავისთავად იწვევს პენსიების გაზრდას. მოქმედი კანონის 45-ე მუხლი კი ითვალისწინებს, რომ ხელფასების მომატებიდან ერთ თვეში საპენსიო თანხების გადაანგარიშებას პენსიაზე ადრე გასულ პირთათვისაც, რაც დღემდე არავის გაუკეთებია, ხოლო ვინც ხელფასების მომატების შემდეგ გავიდნენ პენსიაზე, მათ პენსიაც მაღალი მიიღეს, – თითქოს ადრე გასული პენსიონერები არც არსებულიყვნენ, მათი პენსიის ინდექსაციაზე არავის არაფერი უთქვამს.

**მესამე** – 2004 წლის 12 ივნისამდე ძალოვან სტრუქტურებში მიმდინარე არასრულფასოვნად გატარებული რეფორმების შედეგად, თანამშრომელთა 90 პროცენტამდე გავიდა (თუ გაყარეს!) პენსიაში, მათ შორის 40-45 წლის ასაკისანი და, რაც ერთობ ნიშანდობლივია, ის პირებიც, რომლებიც ქვეყნის ერთიანობისთვის იბრძოდნენ! ამან გამოიწვია პენსიონერთა რაოდენობის სამმაგი ზრდა და ბიუჯეტის ასევე სამმაგი გადახარჯვა. მაშინ როდესაც ამ კატეგორიის პირებიდან უმეტესობას ჯერ კიდევ ჰქონდა დრო საპენსიო ასაკამდე და შეეძლოთ არ „დასწოლოდნენ“ სახელმწიფო ბიუჯეტს.

და მაინც, ამ საკითხებიდან ყველაზე მთავარია, – პენსიაზე „ადრე გასული“ თუ გაყრილი პენსიონერებისთვის საპენსიო ინდექსაციის საკითხი.

კანონსაც აქვს თავისი კანონი, – მას უკუქმედების ძალა არ გააჩნია. კანონად დაწერილი კანონიერად უნდა შესრულდეს. მისი გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იგი უკეთესობისკენ იცვლება. კანონში კი წერია:

**„მუხლი 45. პენსიების გადასინჯვა ცხოვრების დონისა და შრომის ანაზღაურების ცვლილებებთან დაკავშირებით:**

**1. პენსიები გადაისინჯება შემდეგ შემთხვევებში: ცხოვრების დონისა და მოსახლეობის დანაზოგისა და ფულადი შემოსავლების ინდექსაციის გათვალისწინებით.**

**2. სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების კადრის რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირთა ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებისას, – სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფის მომატების გათვალისწინებით.**

**3. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიშობა პენსიების გადასინჯვის ორივე საფუძველი, პენსიათა გადასინჯვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთ-ერთი საფუძვლის გათვალისწინებით. აღნიშნული საფუძვლით პენსიათა გადასინჯვა ხდება ამ კანონით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.“**

ასე რომ, იმათ, ვინც მოქმედ კანონში ამ და კიდევ სხვა მუხლების გაუქმებასაც მოითხოვს, უნდა იცოდნენ: 2005 წლის პირველი იანვრიდან, როდესაც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ხელფასი მოემატათ, ფაქტობრივად, ერთ თვეში უნდა დამდგარიყო პენსიების გაზრდის ინდექსაციის საკითხი, რაც არ მოხდა. „მიზანი-2005“-ს მიაჩნია, რომ კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს ზემოთ მოყვანილი მუხლის გაუქმებას, საერთოდ არ უნდა იქნეს განხილული, არათუ მიღებული, – ამბობს ზურაბ გიორგაძე, – წინააღმდეგ შემთხვევაში, დარწმუნებული ვართ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს და საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით არ დაუშვებს მის მიღებას, რადგან იგი **აუარესებს პენსიონერთა მდგომარეობას...** არავის არა აქვს მორალური უფლება, ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ფენა იღებდეს 28 ლარს, ზოგიერთი 150-ს და ზოგიერთი კიდევ, თუნდაც ის ძალოვანი იყოს, 5000-ს. საპენსიო სხვაობები შეიძლება დავუშვათ, მაგრამ ასეთი დიდი განსხვავებით ნამდვილად მიუღებელია.

... ვერაფერს იტყვი, ისღა დაგვრჩენია, დავეთანხმოთ ამ ადამიანებს და აქციაზე მათთან ერთად დავდგეთ!

**ზაურ ფიფია**

◎ თანამემამულე

# პირველი ქართველი დოქტორი სინოლოგი



**ახლახან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნანძინის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დისერტაცია ჩინურ ენაზე წარმატებით დაიცვა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის ჩინური განყოფილების კურსდამთავრებულმა მარინე ჯიბლაძემ. მას ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.**

მარინე ჯიბლაძე პირველი ქართველი დოქტორი სინოლოგია. ეს ფაქტი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ახალგაზრდა ქართველმა სპეციალისტმა სამეცნიერო ხარისხი როგორც ვთქვით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში მოიპოვა.

მარინე ჯიბლაძე 1975 წელს დაიბადა ბათუმში. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში შევიდა 1992 წელს, დაამთავრა 1997 წელს, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსის, პოლიტოლოგის სპეციალობით. 1996-1997 წლებში სწავლობდა ჩინეთში, ბულანძიანის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩინური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. გათხოვილია, ჰყავს 6 და 5 წლის ვაჟი და ქალიშვილი.

მარინე ახლო მომავალში დაბრუნდება საქართველოში და მოღვაწეობას შეუდგება თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში.

ამ ინსტიტუტში ჩინური განყოფილება 1991 წლიდან, ინსტიტუტის დაარსების დღიდან არსებობს. განყოფილება ამზადებს ფართო პროფილის სინოლოგებს: აღმოსავლეთმცოდნე ფილოლოგებს, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებს, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტებს, ეკონომისტებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩინური ენის სწავლებას. პროგრამას ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი პროფესორი მალი გუანვენ ლუ-ყანდარელი. ინსტიტუტში მოწვეული არიან სპეციალისტები ჩინეთიდან, მათ შორის ერთი პროფესორი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ჯერჯერობით ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ჩინური ენისა და კულტურის სპეციალისტებს ამზადებს.

ამ განყოფილების სტუდენტები ჩინურ ენაში ცოდნის ასამაღლებლად ყოველწლიურად იგზავნებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს განყოფილების კურსდამთავრებულთა მაღალი მაჩვენებლები დასაქმების კუთხით: ყველა ახალგაზრდა სინოლოგი პროფილის მიხედვით საქმიანობს სხვადასხვა ქართულ-ჩინურ და ჩინურ ორგანიზაციაში.

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტს ხელშეკრულებები აქვს დადებული ლანჯოუსა და სიანის ცნობილ უნივერსიტეტებთან. ინსტიტუტთან ნაყოფიერად თანამშრომლობს და ჩინურ განყოფილებას ქმედით დახმარებას უწევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო თბილისში.

ამ დღეებში ჩინეთში, ჩინური ენის სტაჟირებაზე გაემგზავრა აქაურ სტუდენტთა კიდევ ერთი ჯგუფი.

**სანდრო ალექსიძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო დაადგა რუსეთის ნელ-ნელა გამოდევნის ტაქტიკას

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ზონებში მყოფი რუსი სამშვიდობოები ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ ფუნქციებს და საჭიროა მათი სტატუსის გადასინჯვა. ეს განცხადება გაკეთდა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქისთვის ნაღმსატყორცნების დაშენის ფონზე, სადაც მიმდინარეობდა ზეიმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 15 წლისთავთან დაკავშირებით.**

შესაძლოა, ბურჯანაძემ ასე გაახმოვანა ტერიტორიული პრობლემის გადაჭრისადმი თბილისის ახლებური მიდგომა – „პირდაპირი იერიშიდან" საქართველო გადადის სამხრეთ ოსეთის რეგიონიდან რუსეთის, ჩამოშორებული ავტონომიის მთავარი პარტნიორის, ნელ-ნელა გამოდევნის ტაქტიკაზე.

რუსი მშვიდობისმყოფლების პროფესიონალიზმში დაეჭვების გარდა, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა მოსკოვი იმაშიც დაადანაშაულა, რომ სამშვიდობო ძალები აიარაღებენ სეპარატისტებს ჩრდილოეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ამასთან, ბურჯანაძემ გამოთქვა აღშფოთება ცხინვალში სამხედრო პარადის გამართვის გამო. საქართველოს პარლამენტი აპირებს 27-30 სექტემბრისთვის დანიშნულ მორიგ სხდომაზე განიხილოს რუსი მშვიდობისმყოფლების მოქმედება.

თავისი ასეთი პოზიციის განსამტკიცებლად საქართველოს მხარემ ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის მიმართულებით გაისროლა რამდენიმე ნაღმსატყორცნის ჭურვი, რომლებიც ცხინვალის გარეუბანში აფეთქდნენ. ისროდნენ ქართული სოფელ ნიქოზის მხრიდან. ეს დასახლებული პუნქტი მდებარეობს ცხინვალიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე, მაღლა მთებში, და იდეალური პოზიციაა ცეცხლის დაშენისთვის. წინათ იქ განლაგებული იყო ქართველ მშვიდობისმყოფელთა საგუშაგო, მაგრამ რამდენიმე თვის წინ მათი ძირითადი ბაზა გადაიტანეს სოფელ ერგნეთში. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ოფიციალურმა თბილისმა „ხელები დაიბანა" და განაცხადა, რომ



არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ ფაქტთან. ცისფერჩაჩქნიანთა გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლის თქმით, გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნაშია მოყვანილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქვეგანაყოფები.

შეგახსენებთ, რომ ყოველივე ეს ხდება სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 15 წლისთავთან დაკავშირებით, ცხინვალში გამართული ზეიმის ფონზე. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში იმყოფება აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. თავის ოს კოლეგასთან ედუარდ კოკოითისთან ერთად, ბაღაფშმა დაათვალიერა ქალაქის ის რაიონი, რომელიც დაიბომბა, რის შემდეგაც გადაწყვიტა, რომ დარჩება სამხრეთ ოსეთში მანამ, სანამ არ გაირკვევა ამ თავდასხმასთან დაკავშირებული სიტუაცია. „მე გავეცი ბრძანება, რომ საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანათ აფხაზური შეიარაღებული ძალების ჯარების აღმოსავლეთი ჯგუფი, იმ მიზნით, რომ ჩვენს ფორმირებებს შეეძლოთ ნებისმიერ მომენტში გადაიწიონ აფხაზეთის გალის რაიონში, საქართველოს საზღვრის სიახლოვეს", – უთხრა აფხაზთა ლიდერმა ჟურნალისტებს. თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ აღნიშნა, რომ ქართულმა მხარემ ვერ შეძლო ჩაეშალა სადღესასწაულო ღონისძიებები, მათ შორის, ფეიერვერკიც.

ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ყველა საფუძველი აქვს შეშფოთებისთვის. ორშაბათს თბილისის სპორტის სასახლეში ახალგაზრდულ ფორუმ „პატრიოტზე" შეკრებილი 11 ათასი მოსწავლისა და სტუდენტის წინაშე გამოსვლისას სააკაშვილი შეეხო მტკივნეულ თემას: „საქართველოს საზღვრები გადის მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბთან. ჩვენ მშვიდობიანად და დიდი მოთმინებით დავაბრუნებთ ჩვენს ქვეყანას იმ წინანდელ საზღვრებში, რომლებშიც საქართველო დატოვეს ჩვენმა წინაპრებმა". მაგრამ ამ დაპირების შესრულების შანსი საქართველოს პრეზიდენტს სულ უფრო მცირე რჩება, და ამას არაერთი მიზეზი განაპირობებს.

უწინარეს ყოვლისა, ეს არის მთელი რიგი სტრატეგიული შეცდომები, რომლებიც საქართველოს ლიდერმა დაუშვა. სააკაშვილის ძალისხმევით ჩაიკეტა უზარმაზარი საბითუმო ბაზარი სამხრეთ ოსეთ-საქართველოს საზღვარზე. სამხრეთ ოსეთის ახალი პრემიერ-მინისტრის იური მოროზოვის თქმით, ეკონომიკური ბლოკადის შედეგად თვითაღიარებული რესპუბლიკის ბიუჯეტმა უკვე დაკარგა 90 მილიონი რუბლი.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც გააუარესა ქართულ-ოსური ურთიერთობა, გახდა გასული წლის ზაფხულში წარუმატებლად განხორციელებული „მინი-ბლიცკრიგი", როცა ქართველმა სამხედროებმა სცადეს, ძალის გამოყენებით დაეკავებინათ სტრატეგიული ჯავის მაღლობები, რაც ქართულ არტილერიას მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლით დაეფარა მთელი ცხინვალი.





მრავალ ოსს ამ მოვლენებმა გაახსენა 1990-იანი წლების დამლევის სისხლისმღვრელი კონფლიქტი, რომლის გამოც, თვითაღიარებული რესპუბლიკა დღემდე ცხოვრობს „არც მშვიდობის და არც ომის" პირობებში. ოსების ეროვნული თავისებურების, მენტალიტეტის გათვალისწინებით, როგორც ისტორიკოსები და ეთნოგრაფები ამბობენ, ეს ხალხი წყენას არავის აპატიებს.

ამრიგად, „დაშინება-დაყვავების" პოლიტიკა, მეტი რომ არ ვთქვათ, არაშორსმჭვრეტელური გამოდგა. კარგად ახსოვოთ რა ისტორიის გაკვეთილები, ოსები დიდი თავშეკავებით მოეკიდნენ საქართველოს ლიდერის მიერ გაკეთებულ მაღალფარდოვან განცხადებებს იმის თაობაზე, თუ რა პერსპექტივები ელის სამხრეთ ოსეთს იმ შემთხვევაში, თუ იგი დათანხმდება საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, თვით ყველაზე ფართო უფლებების მქონე ავტონომიის სახითაც კი.

აფხაზეთის მიმართ კი ქართული პოლიტიკის მნიშნელოვანი შეცდომა გახდა ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მიერ ამ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადება. სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა ირაკლი ოქრუაშვილმა ამ დღეებში არაორაზროვნად მიანიშნა, რომ უკვე დაიწყო აფხაზეთის შემოერთების პროცესი ...ქართველი პარტიზანების მოქმედებით. მან ისიც თქვა, რომ პირადად მონაწილეობდა აფხაზეთის მთებში განხორციელებულ არალეგალურ რეიდში. ეს პროვოკაცია (სხვას ამას ვერაფერს ვუწოდებთ) მოხდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა ბუნებრივი წიაღისეულის ათვისების გეგმები. ერთი კვირის წინ თვითაღიარებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების შემუშავების წესები და განაკვეთები წიაღით სარგებლობის უფლებისთვის. ამრიგად, აფხაზეთმა მოამზადა საკანონმდებლო ბაზა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნავთობის დაზვერვა-მოპოვებისთვის.

საქმე ის არის, რომ „ლუკოილს" გამოუჩნდა სერიოზული გეგმები შავი ზღვის შელფზე ნავთობის საბადოებთან დაკავშირებით, რის თაობაზეც, გაზეთი „ვზგლიადი" უკვე წერდა. ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა, რომ რუსეთის კომპანიებს არ დართავს შავი ზღვის აკვატორიაში ნავთობის მოპოვების საქმეში აფხაზებისთვის დახმარების გაწევის ნებას. ასე რომ, აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის შესახებ თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას, შეიძლება მოჰყვეს ახალი, უფრო აშკარა და დემონსტრაციული გამოხდომები. ასეთი დემარშების შემდეგ, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ინტეგრაციაზე სერიოზული ლაპარაკიც კი არ ღირს.

მაგრამ სააკაშვილი ასე უბრალოდ ვერ დათმობს პოზიციებს. ალბათ, თვითაღიარებულ რესპუბლიკაზე ზემოქმედების ფორმები უკვე სხვანაირი იქნება. ასეთ შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბაღაფშმა და კოკოითიმ 21 სექტემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, მათ შორის, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებაც. გამალებული მილიტარიზაციის მიუხედავად, 16-ათასიანი ქართული არმია ვერ შეძლებს ერთბაშად ორ ფრონტზე ბრძოლას.

ალბათ, საქართველო ძირითად ყურადღებას გაამახვილებს რეგიონიდან სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მთავარი პარტნიორის – რუსეთის განდევნაზე. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ნინო ბურჯანაძემ რუსი მშვიდობისმყოფლები დაადანაშაულა იმაში, რომ მათ არ შესწევთ უნარი, აღკვეთონ მთელი რიგი ინციდენტები (რა თქმა უნდა, საქმე ეხება ადამიანების გატაცებას კონფლიქტის ზონიდან).

გარდა ამისა, საქართველომ მშვიდობისმყოფლები დაადანაშაულა რუსეთიდან კონტრაბანდული საქონლის შემოტანაშიც. სამშვიდობო ძალების მანდატის შესაძლო გადასინჯვა, რა თქმა უნდა, არის ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების „მოგვარებისთვის" გამიზნული მრავალსვლიანი კომბინაციის მხოლოდ ნაწილი, რომელშიც, თუ ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას ვერწმუნებით, ახლო მომავალში შეიძლება გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები – ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები.

თუ როგორ განვითარდება მოვლენები ამ მიმართულებით, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. უეჭველია მხოლოდ ერთი რამ: იმისთვის, რომ შეინარჩუნოს გავლენა რეგიონში, მოსკოვს მართებს განახორციელოს ფრთხილი, მაგრამ მტკიცე პოლიტიკა თბილისის მიმართ.

**გენადი ნეჩაევი,**
**„ვზგლიადი", 22 სექტემბერი.**

# მოსახლეობა ტეხასის სამხრეთ ნაწილს ტოვებს

**ქარიშხალ „რიტას", რომელიც მიიწევს მექსიკის ყურეში შეერთებული შტატების სამხრეთი სანაპიროსკენ, მიენიჭა საშიშროების უმაღლესი – მეხუთე კატეგორია. „რიტას" ცენტრში წნევის გაზომვა ადასტურებს, რომ ეს არის სიმძლავრით მესამე ქარიშხალი, რომელიც კი ოდესმე დაუფიქსირებიათ ატლანტიკაში.**

ჰიუსტონის, ტეხასისა და ლუიზიანის შტატების სანაპიროზე მდებარე სხვა ქალაქების ხელისუფლებამ გამოაცხადეს მილიონზე მეტი ადამიანის ევაკუაცია. მათ შორის არის ახალი ორლეანიდან ათასობით ლტოლვილი, რომლებიც სამი კვირის წინ ჩავიდნენ ჰიუსტონში და სამხრეთ ტეხასის სხვა ქალაქებში.

როგორც მოელიან, გრიგალი შეერთებული შტატების ტერიტორიას მიაღწევს შაბათ დილისთვის და ქარის სიჩქარე საათში დაახლოებით 265 კილომეტრი იქნება. ვარაუდობენ, რომ ქარიშხლის ეპიცენტრში მოექცევა პატარა ქალაქი გაველსტონი, რომელიც ტეხასის სანაპიროს მახლობლად, კუნძულზე მდებარეობს. 1900 წელს გაველსტონს უკვე დაატყდა თავს ამერიკის ისტორიაში ყველაზე საშინელი ქარიშხალი, რომელმაც 8 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ტეხასის პრაქტიკულად მთელი სანაპიროდან ავტობუსებით გაჰყავთ ის ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ მანქანები, აგრეთვე, ინვალიდები და ხანდაზმულები, უბედურების ზონაში ჩააქვთ სასმელი წყალი, ყინული და სურსათი.

„რიტა" მიმდინარე წელს უკვე მე-17 ქარიშხალია. თუმცა, ამ მხრივ, სავალალო რეკორდი დაამყარა 1933 წელმა, როცა შეერთებული შტატების სანაპიროს თავს დაატყდა 21 გრიგალი.



მთელი მეტეოროლოგიური დაკვირვების პერიოდში შეერთებული შტატების კონტინენტურ ნაწილამდე მიაღწია მეხუთე კატეგორიის მხოლოდ სამმა ქარიშხალმა. მაგრამ „რიტა" გამოირჩევა არა მარტო თავისი ინტენსიურობით, არამედ იმითაც, რომ გრიგალისებურმა ქარმა შეიძლება მოიცვას დაახლოებით 560 კილომეტრი დიამეტრის ტერიტორია.

ეს კი ნიშნავს, რომ აღმოსავლეთით გრიგალის ტრაექტორიის მცირე გადახრის შემთხვევაში კი იგი შეიძლება შეეხოს ახალ ორლეანს, ქალაქს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მთლიანად დაიტბორა ციკლონის შემოტევის შედეგად. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ასეთ შემთხვევაში ჯებირები, რომლებიც სულ ახლახან აღადგინეს ინჟინრებმა, შეიძლება კვლავ გაარღვიოს წყალმა.

მენავთობეები მექსიკის ყურეში ახლა ხურავენ იმ პლატფორმებს, რომლებზეც აღდგა მუშაობა ქარიშხალ „კატრინას" ჩავლის შემდეგ. დახურულია, აგრეთვე, ოთხი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ტეხასის სანაპიროზე.

როგორც გამოიანგარიშეს, „კატრინას" შემოტევის შემდეგ გაჩერებული ოთხი ქარხნის გათვალისწინებით, ამჟამად არ მუშაობს შეერთებული შტატების ნავთობგადამმუშავებელი სიმძლავრეების დაახლოებით 10 პროცენტი. ბარელი ამერიკული ნავთობის ფასმა 1 დოლარით მოიმატა და 67,35 დოლარს მიაღწია.

# რუსეთი ბერეზოვსკის გადაცემას მოითხოვს

**რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ლატვიას გაუგზავნა ოფიციალური მოთხოვნა რიგაში ჩასული მეწარმის ბორის ბერეზოვსკის დაკავებისა და რუსეთის მხარისთვის გადაცემის შესახებ.**

„ბერეზოვსკის ბრალად ედება თაღლითობა რუსეთის ტერიტორიაზე... ეს ადამიანი იძებნება და მას დაუსწრებლივ უკვე გამოუტანეს თავისუფლების აღკვეთის განაჩენი", – ხაზგასმულია გენერალური პროკურატურის განცხადებაში.

როგორც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა თქვეს, რიგაში გაგზავნილ შუამდგომლობაში აღნიშნულია მეწარმის სამი გვარი, რომლებიც ასევე გადაცემულია ინტერპოლში: ბ. ბერეზოვსკი, პლატონ ელენინი და პლატონ ელევინი.

გენერალურ პროკურატურაში ამავე დროს განაცხადეს, რომ რუსეთის მხარე თავის შუამდგომლობაში იმოწმებს ევროპის 1957 წლის კონვენციას დევნილ პირთა გადაცემის შესახებ და ხელშეკრულებას სამართლებრივი დახმარების თაობაზე, რომელიც რუსეთმა და ლატვიამ დადეს 1993 წელს.

თვით ბერეზოვსკიმ კი, „ინტერფაქსის" კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა: „მე არ მეშინია იმის, რომ შეიძლება დამაკავონ ლატვიაში და გადამცენ რუსეთის მხარეს. ამ საკითხში ლატვიის ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად თანამიმდევრულია. ლატვია მკაცრად იცავს ჟენევის 1991 წლის კონვენციას პოლიტიკური ლტოლვილების შესახებ".

აღსანიშნავია, რომ ბერეზოვსკი თებერვალშიც იმყოფებოდა რიგაში. ამ ადამიანს დიდ ბრიტანეთში აქვს ლტოლვილის სტატუსი და შეუძლია ვიზის გარეშე იმოგზაუროს ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში.

როცა მოსკოვმა მაშინ მოსთხოვა რიგას ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არ დააკავეს ბერეზოვსკი, რომელზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, ლატვიელმა მესაზღვრეებმა განაცხადეს, რომ ადამიანს, გვარად ბერეზოვსკის არ გადაუკვეთავს მათი საზღვარი.

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე აღნიშნა, რომ ბერეზოვსკი არ დაუკავებიათ და რუსეთისთვის არ გადაუციათ იმიტომ, რომ მას აქვს პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსი.

ამჯერად ბერეზოვსკის ჩასვლა რიგაში უკავშირდება განათლების სფეროს პროექტებს. ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ იგი არის საგანმანათლებლო პროგრამული უზრუნველყოფის გამომშვები კომპანიის აქციონერი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული პრეზიდენტის ძმა ნილ ბუში. სწორედ მან მიიწვია ბერეზოვსკი რიგაში.



# ყირგიზეთში პარლამენტის დეპუტატი მოკლეს

**ყირგიზეთის დედაქალაქში მოკლეს ქვეყნის პარლამენტის დეპუტატი და გავლენიანი ბიზნესმენი ბაიამან ერკინბაევი. დაუდგენელმა პირებმა იგი საკუთარ სახლთან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს.**

ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, ერკინბაევი გარდაიცვალა მძიმე ცეცხლსასროლი ჭრილობების შედეგად.

იგი გახდა მეორე დეპუტატი, რომელიც ყირგიზეთში მოკლეს პრეზიდენტ ასკარ აკაევის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

ერკინბაევი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ორგანიზებაში, რომლებსაც უწოდეს „ტიტების რევოლუცია" და რომელთა შედეგადაც დაემხო ქვეყნის წინანდელი ხელისუფლება. იგი ყირგიზეთის პარლამენტის დეპუტატად ზედიზედ სამჯერ იყო არჩეული.

როგორც „იტარ-ტასის" სააგენტო იტყობინება, ყირგიზეთის პარლამენტის საგანგებო სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ფელიქს კულოვმა განაცხადა, რომ მისთვის, სავარაუდოდ, ცნობილია მკვლელების ვინაობა. კვირას, აღნიშნა პრემიერმა, თვით ერკინბაევმა დაასახელა იმ ადამიანის გვარი, რომელიც „ამის გაკეთებას" აპირებდა. და მაინც, კულოვს არ გაუმხელია ეჭვმიტანილის ვინაობა, თუმცა, დასძინა, რომ ამას გამოძიების დროს იტყვის.

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ყურმანბეკ ბაკიევმა პარლამენტარებისადმი მიმართვის დროს არაორაზროვნად მიანიშნა, რომ დარბაზში მყოფთაგან მრავალ ადამიანს ჰქონდა კავშირურთიერთობა კრიმინალურ სამყაროსთან.

კრიმინალებთან ურთიერთობაში არაერთგზის დაუდანაშაულებიათ თვით 38 წლის ერკინბაევიც, ყოფილი მოჭიდავე, რომელიც ქალაქ ოშის რაიონში ფლობდა მაღაზიებს და სასტუმროებს. ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში იგი იყო ერთ-ერთი მონაწილე კულისებსმიღმა ბრძოლისა, რომელიც ხშირად ძალადობაშიც გადადიოდა. კერძოდ, საქმე ეხება ფერღანის ოლქში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მომგებიან ბაზარზე კონტროლის დაწესებისთვის ბრძოლას.

ერკინბაევის მოკვლა პირველად სცადეს მიმდინარე წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც მან გამოაცხადა, რომ აპირებდა კენჭი ეყარა პრეზიდენტის პოსტზე. მაშინ ტყვიამ ოდნავ გაკაწრა დეპუტატი. მოგვიანებით, როცა ფელიქს კულოვმა და ყურმანბეკ ბაკიევმა ჩამოაყალიბეს კოალიცია და გადაწყვიტეს ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ არჩევნებზე, ერკინბაევმა მოხსნა თავისი კანდიდატურა.





◎ გავყიდოთ თუ გადავყაროთ?

# ფალსიფიკაციას გლეხთან რა ხელი აქვს?

## დილის რეპორტაჟი ყურძნისა და ხილის ბაზრობიდან...

**(მეოთხე გვერდიდან)**

**— მთავრობამ იმიტომ თქვა უარი სუბსიდიაზე, არ უნდა, რომ ფალსიფიცირებული ღვინო დამზადდეს. ამით ქართულ ღვინოს სახელი გაუტყდა ყველგან...**

— იცით, რას გეტყვით, აქ ჩვენთან ფალსიფიკაცია არ არის, ქალაქში მოიკითხონ. 60 წლის კაცი ვარ, შემიძლია ვთქვა, ზვარში არ დავბადებულვარ, თორემ იქ კი გავიზარდე, დღემდე მისი მოვლით ვარ დაკავებული. არ მეგულება მარანი, ან ქარხანა ღვინო არ „გააკეთოს". არ გააკეთებს და იზარალებს. გლეხთან რა უნდა ასეთ ეშმაკობას, რა, შაქარი იაფია, ყურძენს რომ დავამატოთ? „ბიზნესმენები" რომ ჰქვია, ამას ისინი აკეთებენ. ხომ იცით, ჩემი რა გესწავლებათ, მოგება თუ არ ნახა, ისე არ იყიდის. სუფთა ღვინოს გასაყიდად ვერ გაიტან, იცით რატომ? ჯერ მძიმეაო, ქალაქელი იტყვის, მერე ისეთ ფასს დაადებს, ტრანსპორტის ხარჯსაც ვერ დაფარავ. ამიტომ ერთი ტომარა შაქრის ფხვნილით 300 ლიტრამდე ღვინოს გააკეთებს და მოგებაც კარგად დარჩება.

მე, როგორც გლეხი კაცი, ვამბობ, მთავრობა რომ არც ჩაბარებაში გვეხმარება და არც ფული გამოყო, ვითომ ფალსიფიკაციაა თუ რაღაც ჯანდაბა მოისპობაო, ისევ ჩვენ, უბრალო გლეხები, გავმწარდებით, სხვები კი მოგების ნახავენ. ჩვენ რაღა დაგვრჩენია, ნელ-ნელა დავიწყებთ ისევ აჩეხვა, და დავიტოვებთ იმდენს, ჩვენ ოჯახს რომ ეყოფა. ამდენ დავიდარაბას რომ გვიჩენს მთავრობა, მაშ ეს ხალხის მთავრობაა? კიდევ ძველ დროს აკრიტიკებენ, ნეტა, თვითონ რა გაუკეთებიათ?! თუ თითო კახელი ბიზნესმენი ცხოვრობს მდიდრულად და ბარე 90-მდე გლეხი ემსახურება და უვლის მის მამულებს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ყველა ასე ცხოვრობს? თქვენ რა, პატარკაციშვილივით, ან ჭყონიასავით ცხოვრობთ?

რამდენი ადამიანი იქექება სანაგვეებში და ეძებს საკვებს. მეშინია თქმის, მაგრამ... „ბატონყმობის" სუნი მცემს. ქიზიყი კი, ხომ იცით, არასოდეს შეეგუება ბატონს. ერთხელაც იქნება ხმას ამოიღებს...

მოგვხედოს მთავრობამ, თორემ მალე მოვა არჩევნების დრო, დასჭირდებით ჩვენი ხმები, ჩვენ კი სწორედ მაშინ დავმუნჯდებით, ერთ ხმასაც კი არავის მივცემთ.

**— თქვენ, ქალბატონო, რომელი გაზეთიდან ბრძანდებით, ასე დილაუთენია რომ მოხვედით?** — მკითხეს, მეც ენად გავიკრიფე.

**— „საქართველოს რესპუბლიკიდან". კითხულობთ ამ გაზეთს?**

— ადრე ვკითხულობდი, ახლა არა!

**— რატომ?**

— არ იშოვება და იმიტომ. მთელი კახეთი რომ მოიარო, 2 ცალსაც ვერ წააწყდები, ადრე ბიბლიოთეკაში მაინც იყო, ახლა არც იქ არის, არც ვიცი, რატომ, ეს თქვენ უნდა გკითხოთ.

**— აქაც ბიზნესინტერესებია, ჩემო ბატონო და იმიტომ, არ მინდა შეურაცხყოფა ვინმეს მივაყენო, არც იმ ქალბატონს, ან ბატონს, დილიდან საღამომდე გაზეთებს რომ ყიდიან, არც მათ ინტელექტს და განათლებას მინდა შევეხო, რადგან ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრებაში, მაგრამ მათ გემოვნებაზე და სიმპატია-ანტიპატიაზე რატომ უნდა იყოს ნებისმიერი გაზეთის რეალიზაციის ბედი შეგდებული? იმიზეზებენ, არ იყიდებაო, არა და სადაც არის — იქ კი იყიდება. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ერთი კაცის საამებლად იწერებოდა სტატიები და არა მარტო ჩვენს გაზეთში. ჩვენ პირუთვნელად ვწერთ, ვცდილობთ ობიექტურნი ვიყოთ, არ ვუღალატოთ სინდისს და არავის „მივეყიდოთ", ამიტომ ისევ გემოვნებიანი და საქმიანი მკითხველის იმედით ვმუშაობთ.**

— ყურძენი ყურძნად, მაგრამ ერევნის ატმებით რომ გაივსო აქაურობა, ეს როგორ მოგწონთ? — სიტყვა გამაწყვეტინა ქალბატონმა, რომელიც ჩვენს საუბარს როგორც ჩანს გულდასმით ისმენდა. — აი, თუნდაც წიწაკა აიღეთ, ის კაცი რომ ყიდის, ჩემი მეზობელია, — ერევნიდან ჩამოიტანა და აქ ყიდის, აი, იმ ორ მანქანას ხომ ხედავთ, ატმით სავსე რომ არის, ახლა ჩამოცლიან და დაიწყებენ ვაჭრობას — მოვიდა გორული ატამი, ქიწნისის ატამიო, არადა ერევნიდან არის, ხომ ვიცი.



ჩვენს ხილს რომელი ხილი სჯობია, რატომ ვცემთ პატივს ყველაფერს უცხოურს? აბა, ჩვენ წავილოთ იქ, ნახეთ, თუ შეგვატანინებენ ბაზარში. აქ კი ხელგაშლილი ხვდებიან, ალბათ დიდი მოგება აქვთ მაგათგან. მე ხუთი ვედრო ატამი წამოვიღე გურჯაანიდან, ვენახის ატამი, გემრიელია, მაგრამ შესახედავად ისეთი დაბრაწული არ არის, ვერ ვყიდი. ტყემალია 50-60 თეთრი და ატამი 50-ად როგორ გავყიდო? ტრანსპორტის ფული მაინც ხომ უნდა ავიღო?

ჩვენი საქმე სულ უკან-უკან მიდის. ქალაქში გზებს მაინც გიკეთებენ, სახლებს გილამაზებენ, რამდენი სტადიონი და საქანელა გაუკეთებიათ, ყველაფერი კარგია, რასაც აკეთებენ, მაგრამ ამ დალოცვილებს, ჯერ ადამიანების ჯანმრთელობაზე, კვებაზე ეფიქრათ, მაგათ თუ 2 და 3 ათასი ლარი არ ყოფნით თვეში, პენსიონერს 28 ლარი ეყოფა? გვასწავლონ მაინც, როგორ ვიმყოფინოთ. სირცხვილი არ არის? ჯერ პენსია მოემატებინათ, და მერე გაეკეთებინათ ეს ყველაფერი, არ აჯობებდა?

დაწერეთ, ქალბატონო, დაწერეთ, კახეთს ძალიან უჭირს, მე სხვა კუთხეს ვერ შევეხები, მაგრამ ჩვენთან ვიცი რა მდგომარეობაა. საქმეშიც ჩახედული ვარ, ადრე საბჭოში ვმუშაობდი და ვიცი, რასაც ვამბობ. რამდენიმე წლის წინათ რომ სიღნაღი, ყვარელი წალეკა წყალდიდობამ, მთავრობამ ფული გამოყო? გამოყო, მაგრამ ქაღალდზე. დღემდე არც ის დანგრეული სახლები არ შეუკეთებია ვინმეს და არც ჩანგრეული ხიდები, გზების შეკეთებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

**— ხომ ხედავთ, ჩვენმა საუბარმა რამდენ პრობლემას შეგვახო, ვუთხარი ჩემს რესპონდენტებს, — ჩვენ რა შეგვიძლია, წერის მეტი, წერით კი, ნამდვილად არ დაგზარდებით, თითქმის სიტყვა-სიტყვით ვიწერ თქვენს საუბარს და აუცილებლად დავბეჭდავ-მეთქი,** — დავაიმედე ჩემი რესპონდენტები.

**ისე კი მინდა გითხრათ, რომ ჩვენ, ჟურნალისტებსაც არანაკლებ გვიჭირს, რადგან საბაზრო ეკონომიკამ თავისი ბასრი ბრჭყალები მედიასაც შემოუჭირა.**

**სწორედ უსახსრობამ მომიყვანა დღეს თქვენთან ბაზარში, ნაცვლად იმისა, რომ მივლინებით, ადგილზე ჩავსულიყავი. დიდი მადლობა გულწრფელი საუბრისთვის.**

რთველი კი, საოცარი რთველი, მაინც შემოაბიჯებს ჩვენს კახეთში, მთლიანად საქართველოში. პირველი სადღეგრძელოც შენ გეკუთვნის, ჩემო გმირო ხალხო!

**P.S. იმ „შავბნელ" დროს — 90-იან წლებში, საქართველოში 112 ათასი ჰექტარი ვენახი იყო. აქედან 100 ათასი — მსხმოიარე, აწარმოებდნენ 600 ათას ტონა ყურძენზე მეტს. 2000 წელს 60 ათასამდე ჰექტარი დარჩა, სადაც 210 ათასი ტონა ყურძენი აწარმოეს.**

**რამდენია დღეს და — რაც მთავარია — რამდენი იქნება 2010 წელს? — იკითხეთ და დაინტერესდით მაინც, ბატონებო!**

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ ბუნება მბრძანებელია



ქარიშხალ „კატრინას" დამანგრეველი შედეგი ნიუ ორლეანში

# ღვთის რისხვაა ჩვენს თავს, თუ კაცობრიობამ ხარაკირი გაიკეთა?!

**იმასაც ამბობენ, მეორედ მოსვლა დაიწყოო, წარღვნა: მსოფლიოს ერთ ნახევარში ინტენსიურმა წვიმებმა და წყალდიდობებმა წალეკა ადამიანის სარჩო და საბადებელი, გზები, ხიდები. მეორე ნახევარი გავარვარებულ ტაფაზე იხრაკება — არნახულმა გვალვებმა გადაბუგა ქვეყნები. ტაიფუნები ანგრევს ოკეანისპირა დასახლებებს, ყველაფერს, რაც ცუნამს გადაურჩა.**

შორს რომ არ წავიდეთ, აგერ საქართველო — ასეთი დამღუპველი კონტრასტის სახიერი მაგალითი და ჩვენს თავზე გადავლილი ბუნების კატაკლიზმები.

რა ხდება?

მეცნიერები ამბობენ, რომ დედამიწის კლიმატის ასეთი ცვალებადობა გამოწვეულია გლობალური დათბობით, რომელიც „სათბურის ეფექტით" არის გამოწვეული. ამ პრობლემაზე ესაუბრება ჩვენს კორესპონდენტს **ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ჩიბლაძე:**

— გლობალური დათბობა დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდაში გამოიხატება და პრაქტიკულად გარდუვალი მოვლენაა.

მოდით, გავშიფროთ ეს განმარტება: **დედამიწაზე ტემპერატურას განაპირობებს მზის სხივებით მიღებულ ენერგიასა და დედამიწის მიერ სითბური ინფრაწითელი გამოსხივებით დაკარგული ენერგიის ბალანსი.** რაც უფრო დიდია მზისგან მიღებული ენერგია, მით უფრო მეტი უნდა იყოს დედამიწის მიერ კოსმოსურ სივრცეში გასხივებული ენერგია. თუ რაიმე მიზეზის გამო დედამიწის მიერ გასხივებული ენერგიის სიდიდე შემცირდა, ან დედამიწის მიერ მიღებული ენერგია გაიზარდა, დამყარდება ისეთი სითბური ბალანსი, რომელსაც უფრო მაღალი ტემპერატურა შეესაბამება.

გლობალური დათბობის პროცესის მიზეზია ატმოსფეროში ნახშირორჟანგა და ნახშირჟანგა აირების დაგროვება, რაც ადამიანთა საქმიანობითაა გამოწვეული (ნავთობის, ქვანახშირის, ხის წვა). ეს აირები შთანთქავს დედამიწის ზედაპირიდან გასხივებული ინფრაწითელი გამოსხივების მნიშვნელოვან ნაწილს, ათბობს ატმოსფეროს და, ამდენად, ხელს უშლის დედამიწის გაცივებას. შედეგად იზრდება დედამიწის ტემპერატურა, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის ამ აირების კონცენტრაციას ატმოსფეროში. ამ მეტად საშიშ მოვლენას, „სათბურის ეფექტი" ეწოდება. **თუ ეს პროცესი „არაკონტროლირებად სათბურის ეფექტში" გადაიზარდა, მაშინ დედამიწა ვენერას დაემსგავსება, სადაც ტემპერატურა 400 გრადუსს აღწევს.**

მეორე მიზეზი საწვავის წვაა. ყოველი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი საჭიროებისთვის საკმაოდ დიდი რაოდენობის საწვავს ხარჯავს და ენერგია, რომელიც ამ გზით გამოიყოფა, ემატება იმ ენერგიას, დედამიწა მზისგან რომ იღებს. უმარტივესი მაგალითი: ვთქვათ, თქვენ ავტომანქანით მოძრაობთ. ამ დროს ავტომობილი ატმოსფეროს ათბობს არა მხოლოდ ძრავის გამონაბოლქვი გაზებით, არამედ მოძრაობისას ჰაერის წინააღმდეგობით გამოწვეული სითბოთიც. თბება მანქანის მოძრავი ნაწილებიც და ეს პატარა, შეუმჩნეველი წვეთები, ერთ დიდ ენერგიად გაერთიანებული, დედამიწის ზედაპირსა და ატმოსფეროზე შესამჩნევად ზემოქმედებს. ცხადია, რაც უფრო მეტია ასეთი „წვეთები", ზეგავლენაც უფრო შესამჩნევია. სხვაგვარად — სითბო, რომელსაც დედამიწა ადამიანის ცხოვრების, მისი საქმიანობის შედეგად იღებს, ადამიანების საერთო რაოდენობაზეა დამოკიდებული. **ჩვენმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ დედამიწის მოსახლეობის გაორმაგება, თითქმის ორჯერ გაზრდის იმ სითბოს რაოდენობას, რომელსაც დედამიწის ზედაპირი და ატმოსფერო მიიღებს.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოგრაფების გამოანგარიშებით მოსახლეობა ყოველ 25-30 წელიწადში ორმაგდება, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ გლობალური დათბობის მთავარი მიზეზი მოსახლეობის ზრდაა. ამას ვულკანების ამოფრქვევით მიღებული სითბოც ემატება.

დათბობა გვალვის მიზეზი რომ არის, ამას დიდი ბჭობა არ უნდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამავე მიზეზით იზრდება ზღვებისა და ოკეანეების ზედაპირიდან აორთქლების ინტენსივობა, მაშასადამე, ტენიანობა და ღრუბლიანობა, რაც დიდ წვიმებს და წყალდიდობას იწვევს.

ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, **წყალდიდობა და მეწყერები საქართველოშიც მოიმატებს. ამიტომ განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია საქართველოზე გამავალი მილსადენების უსაფრთხოების საკითხი,** რადგან მისმა მოუგვარებლობამ შეიძლება გამოუსწორებელი ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ გლობალური დათბობა ჩრდილოეთის, ე.წ. ცივი ქვეყნებისთვის, მაგალითად, რუსეთისთვის შვება და სიკეთეა. იფიქრებს და შეცდება, რადგან ტემპერატურის გაზრდით გამოწვეული ტენიანობა ციმბირის მთელ ტერიტორიას უზარმაზარ ჭაობად აქცევს, რომლის დაშრობის შანსი ნულის ტოლი იქნება.

**— არსებობს თუ არა რაიმე გამოსავალი ამ პლანეტარული კატასტროფიდან?**

— არსებობს. ამისთვის საჭიროა შევინარჩუნოთ კოსმოსისა და დედამიწას შორის სითბური გაცვლის ნორმალური ბალანსი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევამციროთ მზის რადიაცია, რომელიც დედამიწის ზედაპირს აღწევს.

**— როგორ?**

— დედამიწის თანდათანობით გადაყვანით მზისგან უფრო მეტად დაცილებულ ორბიტაზე, — გვიპასუხებენ ამ კითხვაზე მწერალი ფანტასტები.

პრაქტიკოსებს კი ასეთი მოსაზრება გვაქვს: **კოსმონავტიკის დღევანდელი განვითარების პირობებში სავსებით რეალური უნდა იყოს დედამიწის მახლობელ ორბიტაზე (200-300 კილომეტრ სიმაღლეზე) გიგანტური ფარების (ქოლგების) გაყვანა, რომლებიც აირეკლავენ და კოსმოსშივე დააბრუნებენ მზის ენერგიის ნაკადის ნაწილს. ასეთი „ქოლგების" აგების პრინციპი რეალურად არსებობს, თუმცა მისი განხორციელება ძალიან ძვირი დაჯდება. ამ პროექტის რეალიზაციისთვის მსოფლიოს ყველა ზესახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა იქნება საჭირო.**



არის სხვა გზაც: კაცობრიობამ რადიკალურად უნდა გადახედოს თავისი ინდუსტრიული საქმიანობის მასშტაბებს. მაგრამ კიოტოს შეთანხმების (რომელიც „სათბურის ეფექტის" შემცირების ღონისძიებებს ითვალისწინებდა სახელმწიფოებისთვის კვოტების დაწესების გზით) გაჭიანურებამ აშშ-ს წინააღმდეგობის გამო, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ზესახელმწიფოს ინტერესების შეუთავსებლობა საერთო-საკაცობრიო ინტერესებთან რიგ შემთხვევაში, სამწუხარო რეალობაა.

**პუბლიკაცია მოამზადა**
**არმაზ სანებლიძე**

◎ ინფორმაცია

## მსოფლიო ბანკის დახმარებით

**ამას წინათ, სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვა მოეწყო. წარმოდგენილ პროექტს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი „ქაუნთერ-ფართი" და „ინვალიდ ქალთა და ინვალიდი ბავშვების დედათა ასოციაცია" ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. მზადდება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამწლიანი გეგმა. ზუგდიდში იქმნება საინფორმაციო ცენტრი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით სწრაფი ტემპით განვითარდება მხარის როგორც ეკონომიკის, ასევე სოციალური სფეროც.**

**გეგმაში ასახული იქნება როგორც კერძო ინვესტიციების და საზოგადოებრივი სექტორის წვლილი, ასევე რეგიონის რესურსები, რაც მას საშუალებას მისცემს მოიძიოს ინვესტირებისა და დონორების ფონდები და ამით უზრუნველყოს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება. უკვე მუშაობენ სათანადო ჯგუფები და მათი მეშვეობით მალე გამოიკვეთება რეგიონისთვის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებზეც გარკვეული დროის მანძილზე დამოკიდებული იქნება მხარის სოციალურ-ეკონომიკური იერ-სახე.**

**როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ახლა მთავარია პროექტის მიზნების გაცნობა: შესრულებული სამუშაოების შედეგებისა და წარმატებული სტრატეგიული გეგმის შესრულებისთვის საჭირო პირობების განსაზღვრა. სასურველია პროექტის განხილვაში რაც შეიძლება მეტმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა.**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა-პროექტი განხორციელებადია, რადგან იგი სამთავრობო დონეზე განიხილება.**

**ოდიკ ქუხილავა,**
„სრ" საკ. კორ

## სასწრაფო დახმარება — ფედერალური დაფინანსებით

**ფოთის სასწრაფო დახმარების სადგურს ახალი უფროსი ჰყავს. ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ქოიავა თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა.**

**ფოთის მერიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა სევერიან შენგელიამ 03-ის თანამშრომლებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ახალი უფროსი ლევან კაკულია წარუდგინა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგური აქამდე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ახალი ავტომანქანები გადასცა საქართველოს მასშტაბით სასწრაფო დახმარების სადგურებს, ფოთის სასწრაფო დახმარების სადგური ფედერალურ დაფინანსებაზე გადავიდა.**

## „თელასი" თანამშრომლებზე ზრუნავს

**თანამშრომელთა სოციალური უფლებების დაცვის მიზნით „თელასის" პროფკავშირებმა კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმება გააფორმა. ურთიერთშეთანხმებას გუშინ ხელი კომპანიის ადმინისტრაციის მხრიდან „თელასის" გენერალურმა დირექტორმა სერგეი კაპლიამ, ხოლო თანამშრომელთა მხრიდან კომპანიის პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა მოაწერეს.**

**როგორც სერგეი კაპლიამ განაცხადა, „თელასის" ადმინისტრაციას არ სურს თანამშრომლებმა კომპანიაში მონური ფსიქოლოგიით იმუშაონ, ამიტომ მათ უფლებებს დაიცავს.**

**ირაკლი პეტრიაშვილი კი აღნიშნულ შეთანხმებას უპრეცედენტოს უწოდებს და აცხადებს, რომ მუშაკთა სოციალური უფლებების დაცვის მიზნით გადადგმული ეს ნაბიჯი უნიკალურია, რადგან საქართველოში ამგვარი პრეცედენტი ჯერ არ მომხდარა.**

**შეთანხმების საფუძველზე „თელასის" ადმინისტრაცია თანამშრომლებს მინიმუმ ერთწლიან ხელშეკრულებებს გაუფორმებს. შვებულება კანონით გათვალისწინებული 24 დღის ნაცვლად, 28-დღიანი იქნება. შეღავათებით ისარგებლებენ მცირეწლოვანი შვილების დედები და ახლად დაქორწინებულები. დედებს დღის განმავლობაში სამუშაო საათები ერთი საათით შეუმცირდებათ, ხოლო ახლად დაქორწინებულები ხუთდღიან ანაზღაურებად შვებულებას მიიღებენ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ SIC!

# ძაღლებს თავი არ დავაჭმევინოთ!

**„აუას" თუ „ამუას" ხსენებაზე ჩვენი პატარების თვალებში ხშირად ამოგვიკითხავს შიში და ძრწოლა, მაგრამ დიდობაში ამ „ყოფილი პატარების" უმეტესობას უქრება ეს გრძნობა და ძაღლი ადამიანის მეგობარი ხდება.** ამ ცხოველის ყოველი გამოხედვაც კი გვამშვიდებს და გვაყვარებს არა მარტო საერთოდ ცხოველს, არამედ ერთმანეთსაც! ადამიანის მიმართ ძაღლის ერთგულებაზე ხომ არა ერთი და ორი მოთხრობა თუ ნოველა დაწერილა და ქვეყანას გაუგია მათი „გმირობის" ამბავი. ძაღლს უამრავი კეთილშობილური თვისება გააჩნია და ამიტომაც არის იგი ჩვენი განუყრელი თანამგზავრი. თუმცა, ნათქვამია — ძაღლი რისი ძაღლია, რომ წელიწადში ორ-სამჯერ მაინც არ გამოავლინოს თავისი „ძაღლობა"? მაშინ კი იგი მეტად საშიში ხდება გარშემო მყოფთათვის და... გარდა ამ „ორ-სამჯერ" გამოვლენილი აგრესიისა, ნებაზე მიშვებული ძაღლი შეიძლება ცოფითაც დაავადდეს და... თქვენს მტერს მერე...

როდის არის ის „ორ-სამჯერ" ძაღლის „გაგიჟების" პერიოდი?

რა თქმა უნდა, ეს ბევრმა არ იცის. წინასწარაც ვერავინ ხვდება და სწორედ მაშინ არის აგრესიის საფრთხე — ან ძაღლის კბილების ან ცოფის მსხვერპლნი ვხდებით.

ამ ბოლო ხანებში ძაღლური ტრაგედიის არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს რესპუბლიკაში. ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, კონკრეტულად არ დავასახელებთ ვის და როდის „ავნო" ძაღლმა, მაგრამ იმ ქალაქებსა და რაიონებს შეგახსენებთ, სადაც მსგავსი ტრაგედიები აღირიცხა: თელავის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ახმეტის, საგარეჯოს, ჩოხატაურის რაიონები; ქალაქები — ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე, მარნეული და ბოლოს თბილისი, სადაც ძაღლების მიერ დაკბენილ-დასახიჩრებულთა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. სულ ახლახან კი, ერთი თბილისელი წლინახევრის პატარა გოგონა ძლივს გამოგლიჯეს ხახიდან გაავებულ „ადამიანის მეგობარს"...

ასე რომ, ძაღლსაც აქვს თავისი „კაპრიზები" და როდესაც ოჯახში მათთან ერთად ცხოვრებას დაიწყებდეთ, ელემენტარული ნორმები უნდა დაიცვათ:

— ოჯახში, სადაც ბავშვი გყავთ, ძაღლი სისუფთავის ზედმიწევნით დაცვით უნდა იყოლიოთ. მართალია, ცხოველთან ურთიერთობა ადამიანში (მით უმეტეს ბავშვში) კეთილ ემოციებს იწვევს, მაგრამ მისმა ბეწვმა შეიძლება წლების შემდეგ ორგანიზმში სერიოზული პათოლოგია წარმოშვას.

— ძაღლი დროულად და სისტემატურად უნდა აიცრას;



— და ყველაზე მთავარი: — **ძაღლმა უნდა ისეირნოს პატრონთან ერთად და აუცილებლად ალიკაპამოდებულმა.**

ზოგიერთები ამბობენ, საქართველოში არ არსებობსო ისეთი „კანონი", რომელიც ოჯახში ცხოველთა ყოლას არეგულირებდეს. ჯერ ერთი, — არსებობს ასეთი „კანონი" და, ის აზრი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იქიდანაა ამოღებული. მეორეც, — რად უნდა სპეციალური კანონი იმას, რომ ადამიანი ძაღლს არ უნდა შევაჭმევინოთ?

შენ გიყვარს შენი ძაღლი? მეც, სხვათა შორის, მაგრამ მეშინია და ჩემი ძრწოლის მიზეზი შენი ძაღლი არ უნდა გახდეს.

ძაღლის არც ერთ პატრონს ამის უფლება არა აქვს.

ამ საქმეს მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაცია ვერ უშველის, — ქალაქის შესაბამისმა სამსახურმა განსაკუთრებული პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს.

**მუმუ მუმლაძე**


# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს ბილეთის მოლარის თანამდებობებზე თანამშრომელთა რეზერვის შექმნის მიზნით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. ფოტოსურათი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
5. საკონტაქტო ტელეფონი.

აუცილებელი პირობებია უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, კომპიუტერის ცოდნა, სასურველია უცხო ენის ცოდნა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 25 სექტემბრიდან 2005 წლის 10 ოქტომბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

**გორში: გორიჯვრის ქ. №19 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 7-71-97.**

**სამტრედიაში: თამარ მეფის ქ. №3 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-07-58, 56-07-62.**

**სენაკში: ჭავჭავაძის ქ. №70 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-02-22.**

**ზუგდიდში: ქუჯის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-01-61.**

**ფოთში: რეკვავას ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-00-82.**

**ქობულეთში: აღმაშენებლის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-16-11.**

**ბათუმში: მაზმიშვილის ქ. №5 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-15-56.**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ თბილისში შემდეგ ნომრებზე: **56-42-33, 56-58-62, 56-47-17.**

ბრიფინგი

# ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი კანონს არღვევს!

**ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა. შედეგები ცნობილია. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ზოგიერთი აბიტურიენტისთვის განათლების და მეცნიერების სამინისტრომ მიელი სიგნალი, ირკვევა სტუდენტთა ჩარიცხვის წესებით. ბრიფინგზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ მათი გვერდი კონკრეტულად არ დაასახელა. ირკვევა ისიც, რომ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი მასთან ჩარიცხულ სტუდენტს გაფორმებისთვის თანხას თხოვს და გარკვეულ სახის მომსახურების სახასუხსაც ითხოვს.**

გაერკვნენ ხშები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაწილე, მაგრამ სასწავლებელში არჩარიცხულ აბიტურიენტებს მიღებას და სწავლის გაგრძელებას ჰპირდება. ამგვარი მოთხოვნა ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებულია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით სტუდენტთა ჩარიცხვა გამოცდების დებულებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 127-ე ბრძანების 22-ე მუხლის დარღვევაა. უმაღლეს სასწავლებელი ვალდებულია აბიტურიენტი ჩარიცხოს მხოლოდ მინისტრის მიერ დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ამ წესის დარღვევა კი გამოიწვევს სასწავლებლისთვის აკრედიტაციის ჩამორთმევას.

ამ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც აკრედიტაცია გაიარეს, მაგრამ მისაღები კონტინგენტი 0 ხვედრებით განესაზღვრათ, არა აქვთ უფლება 2005-2006 სასწავლო წელს სტუდენტთა ახალი კონტინგენტი მიიღონ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ურის თუმა აბიტურიენტების ჩარიცხვაზე სწავლის საფასური წინასწარ გადაუხდელობის მიზეზით, უკანონოა. სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური საჭირო ნებისმიერ მომსახურებას მოიცავს. მათ შორის კომპიუტერული გადასახადების, ადმინისტრაციული ხარჯების, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის, სტუდენტური ბილეთების, ცნობის, დიპლომის, დიპლომის დანართის ხარჯებს. ასე რომ, ამის შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლის მიერ სწავლის წინასწარ გამოცხადებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობამდე ასახული საფასური გარდა სხვა სახის გადასახადების დაწესება უკანონოდ ჩაითვლება. **არ არსებობს არავითარი დამატებითი გადასახადი.** საჯარო სამართლის იურიდიული პირმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ სტუდენტებს სწავლის საფასურის ეტაპობრივ დაფარვაში (კერძო სასწავლებლებს შეუძლიათ ეს მოთხოვნა არ გაიზიარონ). სტუდენტი საკუთარი ხარჯით აფინანსებს თავის სწავლას და ეს მისი ოჯახის გადასაწყვეტია.

**ნათელა ფაილოძე**

ფინანსური პოლიცია

# სკოლის მერხიდან — საბუღალტრო წიგნამდე



**ფულადი სახსრების მითვისებისა და გაფლანგვის რამდენიმე ფაქტი გამოავლინეს ბოლო დღეებში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა.**

როგორც ამ უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან შეგვატყობინეს, ჩოხატაურის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსმა გია ცინცაძემ სამხედრო გაწვევისა და სხვა ხარჯისთვის გამოყოფილი თანხები მიითვისა, ხოლო იმერეთის რეგიონში დაუდგენელმა პირმა სოფელ ალავერდის საშუალო სკოლის კუთვნილი ქონება მიისაკუთრა. იმერეთშივე ფინანსურმა პოლიციამ გამოავლინა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის კუთვნილი 1924 ლარის მითვისების ფაქტი, თუმცა დამნაშავე პირი ამ შემთხვევაშიც ჯერჯერობით დაუდგენელია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, უაქციზო თამბაქოს ნაწარმის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, შიდა ქართლის რეგიონში მხილებულია ქეთევან დავითაშვილი, რომელიც 34,4 ათას კოლოფ უაქციზო სიგარეტს ინახავდა. გარდა ამისა, ასევე დაწყებულია წინასწარი გამოძიება დაუდგენელი პირის მიერ 4,5 ათასი კოლოფის გადაზიდვასთან დაკავშირებით. სამეგრელოში კი ამავე სახის უკანონო ქმედებაში დააკავეს ჯემალ ჭაჭუა, რომელსაც ასევე გადაჰქონდა 1480 კოლოფი არამარკირებული სიგარეტი.

სამწუხაროდ, კვლავაც ხშირია საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარ სამმართველოში ამ მოტივით სამი საქმეა წინასწარი გამოძიების პროცესში, კერძოდ, ინდივიდუალური მეწარმეების აკაკი შუბლაძის, ალიკ ყურფარაშვილისა და თემურ კაპანაძის მიმართ. საქმე ის გახლავთ, რომ საწარმოს საბუღალტრო წიგნი სწორედ ის ფინანსური დოკუმენტია, რომლის მიხედვით საგადასახადო დეპარტამენტი მის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხს ამოწმებს.

გარდა აღნიშნულისა, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „რეზერვისა“ და „სერვისბიუროს“ ხელმძღვანელებმა ისაკ მურღულიამ და რევაზ ოდიშარიამ სასამართლოში არ შეიტანეს განცხადებები გაკოტრების შესახებ საქმის წარმოებისა, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

ყოველივე ეს, როგორც მოგახსენეთ, რეგიონებში მოხდა, თუმცა პროვინციას არც დედაქალაქის მეწარმეები „ჩამორჩებიან“. ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარ სამმართველოში საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევასა და, ამასთან ერთად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის, კერძოდ, საანგარიშო ბარათის გამოყენების ფაქტებთან დაკავშირებით, დაწყებულია წინასწარი გამოძიება შპს „ფორტროუს ჯორჯიასა“ და შპს „გრანტ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელთა, აგრეთვე ინდმეწარმე გოჩა ხუნწარიას მიმართ.

**დავით მერიშვილი**




# აქ შეიძლებოდა თქვენი რეკლამა ყოფილიყო!

ყველაზე ხელსაყრელი და ეფექტიანი რეკლამა გაზეთში

**მობრძანდით დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას 14, I სართული. დაგვიკავშირდით, ტელეფონი-ფაქსი 932813; ტელ: 931563. ვმუშაობთ ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე.**


## სს „ფოთიტორფის“ 2005 წლის 16 სექტემბრის საერთო კრების დადგენილება:

**1. მოწონებულ იქნას სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფის“ დირექტორის წინადადება ტორფის მოპოვება-რეალიზაციის მიზნით მალთაყვის ტორფის საბადოს დამუშავებისათვის ლიცენზიის მოპოვებისა და დამატებითი კაპიტალდაბანდებების მოზიდვის შესახებ;**

**2. დაევალოს სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფის“ დირექტორს გააფორმოს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება საზოგადოების აქციონერებთან, რომლებიც ფულითა და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივებით მონაწილეობას მიიღებენ სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფის“ მიერ ლიცენზიის მოპოვებისა და მისი შესრულების პროცესში;**

**3. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფის“ მონაწილეობის მინიმალურ პირობად განისაზღვროს საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა დასაქმება და გადასახადების გადახდა;**

**4. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღების მიზნით საზოგადოების აქციონერებს მიეცათ უფლება ამ ოქმის შედგენიდან ერთი თვის ვადაში სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფის“ დირექტორს (მისამართი: ქ. ფოთი, გურიის ქ. № 181) წარუდგინონ თავიანთი წინადადებანი ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. გადაწყვეტილება აღნიშნულ პირთა ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ მიღებულ იქნას საზოგადოების დირექტორის მიერ;**

**5. დაევალოს სააქციო საზოგადოება „ფოთიტორფის“ დირექტორს უზრუნველყოს ამ ოქმის სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ოქმის შედგენიდან 10 დღის ვადაში.**

## განცხადება

**2005 წლის 26 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე, „საქწიგნის“ ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (მარჯანიშვილის ქ. № 9) ჩატარდება სასკოლო სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურისა და საკანცელარიო ნივთების ბაზრობა.**

**ბაზრობაზე მოწვეულნი იქნებიან მწერლები, პოეტები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. წიგნები გაიყიდება მწერლებისა და პოეტების ავტოგრაფებით.**

**ბაზრობა საზეიმოდ გაიხსნება 26 სექტემბერს 15 საათზე, მარჯანიშვილის ქუჩაზე, № 9.**

**„საქწიგნი“.**

უჩინარი მსახური

# გენერლობას ძალოსნობა ამჯობინა

**— წავიდეთ? — ჰკითხა სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა რუსმა გოგონამ გრძელ სკამზე მჯდომ შუა ხნის მამაკაცს. ამ უკანასკნელმა თავი დაუქნია და უხმოდ წამოდგა. ორივენი შენობაში გაუჩინარდნენ. მოგვიანებით ის კაცი კვლავ გამოჩნდა, შუბლიდან ოფლს იწმენდდა.**

**— შენ რა გაიფიქრე? — ეშმაკური ღიმილით მკითხა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ქართველი ჩოგბურთელების საქომაგოდ მოსულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გია ასანიძემ, რომელმაც ჩემი მზერა დაიჭირა.**

**— გაიცანი ექსტრა კლასის მასაჟისტი ზურაბ ნინუა, — მითხრა გიამ, სანამ რამეს ვუპასუხებდი. — მთელი ძალოსნობის სამყარო მისი მადლიერია.**

**— ჩვენც, ჩოგბურთელებიც, — დასძინა მანანა შაფაქიძემ, რომელმაც ისის იყო ნახევარფინალური ორთაბრძოლა მოიგო და ჩვენს მილოცვებს იღებდა. — მისი დამსახურებაცაა, დღეს სამსაათნახევარი რომ გავძელი კორტზე.**





ასე გავიცანი ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის უმაღლესი კატეგორიის მასაჟისტი-რეაბილიტოლოგი **ზურაბ ნინუა,** რომელიც ჭაბუკობისას პროფესიონალი ძალოსანი ყოფილა.

— ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში პანტელეიმონ ტუღუშს ძალოსნობის სექცია ჰქონდა ჩამოყალიბებული, — იხსენებს ბატონი ზურაბი. — მაშინ ყველა ახალგაზრდა სპორტზე დადიოდა. მე ხომ არ ვიქნებოდი გამონაკლისი, მით უმეტეს, რომ ჩემი ბიძაშვილი საშა ნინუა საქართველოს ჩემპიონი იყო „კლასიკურში“, მერე გირების აწევაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა. მეც მინდოდა, კუნთმაგარი ვყოფილიყავი.

**— მშობლები თქვენს სურვილს ხომ არ შეწინააღმდეგებიან?**

— ბიძაჩემი — პოლკოვნიკი ვასილ შარაშიძე გენერლად მამზადებდა — ბაქოს სამხედრო სასწავლებელშიც გამგზავნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაინც რკინასთან ჭიდილი ვარჩიე. მით უმეტეს, მაშინ ოლიმპიური ჩემპიონის — რაფაელ ჩიმიშკიანის სახელს რომელი გენერლობა გადასწონიდა...

ვარჯიში ერთი წლის დაწყებულიც არ ჰქონდა, რაიონულ ნაკრებში რომ დაიმკვიდრა ადგილი. იქ ვალერიან შავიშვილის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. საქართველოს პირველობებზე მსუბუქ და ქვემსუბუქ წონაში რამდენჯერმე გავიდა საპრიზო ადგილებზე. დასავლეთ საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონიც გამხდარა და იმ შეჯიბრებაზე დებიუტანტ დიტო შანიძისთვისაც გაუსწრია.

— პერსპექტიულ სპორტსმენად ვითვლებოდი და თბილისში გადმომიყვანეს. — მეუბნება ბატონი ზურაბი. — ახლა რესტორანი „არაგვი“ რომ არის, იქ იყო დარბაზი. არაერთხელ მიმიდევნებია თვალი რაფაელ ჩიმიშკიანის ვარჯიშისთვის. იგი ჩემი თაობის კერპი იყო — მას ვბაძავდით. მწვრთნელებიც საუკეთესოები გვყავდა — გურამ ფარულავა, პავლე გუმაშიანი, ვლადიმერ სვეტილკო.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ზურაბ ნინუა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იქ ავარიაში მოყვა და ექვსი თვე ორენბურგის საავადმყოფოში გაატარა.

— დაღუპვისგან ფიზიკურმა წრთობამ მიხსნა. შინ დაბრუნებულს ცალი მხარე პარალიზებული მქონდა. ჩემმა პირველმა მწვრთნელმა პანტელეიმონ ტუღუშმა არ მომასვენა — წამო დარბაზში, ვარჯიში გიშველისო. დავუჯერე, მიშველა. მერე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავაბარე. 1966 წელს „ბურევესტნიკის“ მეორე პრიზიორი გავხდი, მაგრამ ექიმებმა სასტიკად ამიკრძალეს ვარჯიში.



ზურაბ ნინუა ძალოსნობას ჩამოშორდა, მაგრამ სპორტისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელ შრომაში 9 წელიწადი იმუშავა მასწავლებლად. მერე თბილისელი ქალი შეირთო და დედაქალაქში გადმოსახლდა. 20 წელი იღვაწა სამედიცინო ინსტიტუტის სპორტული მედიცინისა და ტრავმატოლოგიის კათედრასთან არსებულ სამედიცინო ფიზკულტურის განყოფილებაში ცნობილი სპეციალისტის — რომანოზ სვანიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში ვისთვის არ გაუწევია დახმარება. მათ შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონები — კახი კახიაშვილი, დავით ხახალეიშვილი, გიორგი ასანიძე, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე, ასევე, თამაზ კოსტავა, მუხრან გოგია, ბიძინა მიქიაშვილი და სხვები. ბატონი ზურაბი განსაკუთრებული სითბოთი საბერძნეთში გატარებულ სამ წელიწადს იხსენებს.

— 1994 წელს კახიაშვილის საბერძნეთში გადასვლის შემდეგ ამ ქვეყნის ნაკრებთან რვა თვე ვიმუშავე. მაშინ ქართველ ძალოსანთან ერთად ვარჯიშობდნენ ცნობილი სპორტსმენები — პიროს დიმასი, ვალერი ლეონიდისი, საბანესი და სხვები. იმ წელიწადს კახიმ და პიროსმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს.

**— იქ როგორი პირობები გქონდათ?**

— ნორმალური. ბინად კახიაშვილთან ვიყავი. ჩემ გარდა, კიდევ 6 კაცი ცხოვრობდა მის ხარჯზე. კახი უაღრესად თავაზიანი პიროვნებაა, ზრდილი, კეთილი მისგან ერთხელაც არ მსმენია უწმაწური სიტყვა. მართალია, თერთმეტი წლის წინათ მოქალაქეობა შეიცვალა, მაგრამ სულით ხორცამდე ქართველად დარჩა. საბერძნეთში სახელოვან ათლეტებს ფედერაციები ტაქსით მგზავრობის თანხასაც უნაზღაურებენ წარმოდგენილი ქვითრების მიხედვით. კახის ერთხელაც არ უსარგებლია ამ შეღავათით. ის კი არა, ხურდასაც არ ართმევდა მძღოლებს. დიმასის ქვითრების ანაზღაურებას კი ფედერაცია ვერ აუდიოდა.

**— დღევანდელი თქვენი საქმიანობით კმაყოფილი ხართ?**

— რა თქმა უნდა, რადგან მე სპორტი და სპორტსმენები მიყვარს. ჩემი დახმარებით ვინმე შვებას რომ იგრძნობს, იმ დღეს ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ლეილა მესხს და ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით მიდგას. ჭაბუკობისას, როგორც გითხარით, გენერლობას ძალოსნობა ვამჯობინე, ახლაც, სპორტის გარდა, სხვა არჩევანი არ მაქვს.

**ესაუბრა ვაჟა დანელია**

**სურათებზე: გირებთან და შტანგასთან ჭიდილი; ზურაბ ნინუა (ცენტრში), საბერძნეთის ნაკრების წევრებთან: მარცხნიდან — პავლე სარციდისი, ვალერი ლეონიდასი, კახი კახიაშვილი და პიროს დიმასი.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. IV ტური.** „უდინეზე“ — „იუვენტუსი“ 0:1, „მილანი“ — „ლაციო“ 2:0, „კიევო“ — „ინტერი“ 0:1, „რომა“ — „პარმა“ 4:1, „ლეჩე“ — „ფიორენტინა“ 1:3, „პალერმო“ — „რეჯინა“ 1:0, „ტრევიზო“ — „სამპდორია“ 0:2, „მესინა“ — „ლივორნო“ 0:0, „ემპოლი“ — „კალიარი“ 3:1, „ასკოლი“ — „სიენა“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ — 12, „ფიორენტინა“, „პალერმო“ — 10-10 ქულა.

**ბომბარდირი:** ტონი („ფიორენტინა“) — 5 გოლი.

**შემდეგი ტური:** „პარმა“ — „იუვენტუსი“, „რეჯინა“ — „უდინეზე“, „ტრევიზო“ — „მილანი“, „კალიარი“ — „რომა“, „ლივორნო“ — „ასკოლი“, „სამპდორია“ — „კიევო“, „ინტერი“ — „ფიორენტინა“, „ემპოლი“ — „ლეჩე“, „სიენა“ — „მესინა“, „ლაციო“ — „პალერმო“.

**ესპანეთი. IV ტური.** „რასინგი“ — „ესპანიოლი“ 1:0, „სოსიედადი“ — „ატლეტიკო“ 3:2, „დეპორტივო“ — „ბეტისი“ 1:1, „მალაგა“ — „ალავესი“ 0:0, „სარაგოსა“ — „ოსასუნა“ 3:1, „სევილია“ — „კადისი“ 0:0, „ხეტაფე“ — „მალიორკა“ 1:1, „ვილიარეალი“ — „სელტა“ 1:2, „ბარსელონა“ — „ვალენსია“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „სელტა“ — 9, „ხეტაფე“, „დეპორტივო“ — 8-8 ქულა.

**ბომბარდირი:** ვილია („ვალენსია“) — 4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბილბაო“ — „რასინგი“, „ბეტისი“ — „ბარსელონა“, „ატლეტიკო“ — „ხეტაფე“, „ესპანიოლი“ — „ვილიარეალი“, „სელტა“ — „სევილია“, „ვალენსია“ — „სოსიედადი“, „სარაგოსა“ — „დეპორტივო“, „ალავესი“ — „რეალი“, „მალიორკა“ — „მალაგა“, „ოსასუნა“ — „კადისი“.

**გერმანია. VI ტური.** „ბორუსია“ — „ბილეფელდი“ 2:0, „აინტრახტი“ — „ბაიერნი“ 0:1, „გლადბახი“ — „ვერდერი“ 2:1, „ჰანოვერი“ — „ვოლფსბურგი“ 2:4, „ლევერკუზენი“ — „კიოლნი“ 2:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „მაინცი“ 0:2, „ჰერტა“ — „დუისბურგი“ 3:2, „შტუტგარტი“ — „ჰამბურგი“ 1:2, „ნიურნბერგი“ — „შალკე“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 18, „ჰამბურგი“ — 14, „ვერდერი“ — 13 ქულა.

**ბომბარდირი:** ალტინტოპი („კაიზერსლაუტერნი“) 7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „დუისბურგი“ — „ნიურნბერგი“, „შალკე“ — „ჰანოვერი“, „ჰამბურგი“ — „ბაიერნი“, „ვერდერი“ — „ლევერკუზენი“, „ვოლფსბურგი“ — „აინტრახტი“, „მაინცი“ — „ბორუსია“, „ბილეფელდი“ — „გლადბახი“, „კიოლნი“ — „ჰერტა“, „შტუტგარტი“ — „კაიზერსლაუტერნი“.

**საფრანგეთი. VIII ტური.** „ტულუზა“ — „მარსელი“ 1:0, „სენტ ეტიენი“ — „ნანსი“ 0:2, „ნიცა“ — „ლე მანი“ 1:0, „რენი“ — „ბორდო“ 2:2, „სოშო“ — „ნანტი“ 1:0, „აიაჩო“ — „სტრასბური“ 0:0, „მეცი“ — „ოსერი“ 1:2, „პსჟ“ — „ლილი“ 1:1, „ტრუა“ — „მონაკო“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 17, „პსჟ“ — 16, „ლე მანი“ — 14 ქულა.

**ბომბარდირი:** პაულეტა („პსჟ“) — 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ოსერი“ — „სოშო“, „ბორდო“ — „აიაჩო“, „ლე მანი“ — „პსჟ“, „ლანსი“ — „რენი“, „ლილი“ — „სენტ ეტიენი“, „მარსელი“ — „მეცი“, „მონაკო“ — „ნიცა“, „ნანსი“ — „ტრუა“, „ნანტი“ — „ლიონი“, „სტრასბური“ — „ტულუზა“.

**ინგლისი. ლიგის თასი:** „ბლექბერნი“ — „ჰადერსფილდი“ 3:1 (მეორე გოლი სტუმრებს **ზურაბ ხიზანიშვილმა** გაუტანა).



ჭადრაკი

## პოზიციები განიმტკიცეს



**იტალიის სან ვინსენტეში გრძელდება ევროპის მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატი. მეოთხე ტურში თბილისის „ნტნ“-მა ბუდაპეშტის მტკ-ს 3,5:0,5 სძლია და 7 ქულით ლიდერთა შორის პოზიცია განიმტკიცა. მით უმეტეს, რომ სერბეთის „პლატინამ“ რუსეთის AVS-თან წააგო.**

ვაჟთა გუნდი „ია“ შეხვდა რუსეთის „ურალს“, რომელიც ტურნირზე რეიტინგით მეორეა და მის შემადგენლობაში გამოდიან აღიარებული დიდოსტატები — ალექსეი დრეევი, ვლადიმირ აკოფიანი, ალექსანდრ მოტილევი, კონსტანტინ საკაევი, ალექსეი ალექსეევი და რაფაელ ვაჰანიანი. ჩვენმა ვაჟებმა მრისხანე მეტოქესთან პაექრობა ფრედ (3:3) დაამთავრეს და 7 ქულით ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებენ.

## ფინიშის სწორზე

**კიდევ ორი ტური და სერბეთის ქალაქ ჰერცეგ ნოვიში დამთავრდება 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა.** 7 ტურის შემდეგ რამდენიმე ქართველი მოჭადრაკე კვლავ ლიდერთა შორისაა. თორმეტწლიანებში ნაზი პაიკიძეს 6,5 ქულა აქვს. მას თითო ქულით ჩამორჩებიან მერი არაბიძე და ნინო ანაკიძე. ვაჟებში — ნოდარ ლოთქიფანიძე. თექვსმეტწლიანებში 5-5 ქულა მოაგროვეს მირანდა მიქაძემ, მერი ქორქოლიანმა და ლევან ბრეგაძემ. თვრამეტწლიანებში 6 ქულით სალომე მელია ლიდერობს. 5,5 ქულა აქვს მაკა ფურცელაძეს, ასევე, თოთხმეტწლიანებში ლევან ბრეგაძესა და დავით ბენიძეს.

სპორტულ ორბიტაზე

### ისინბაევა — საუკეთესო მძლეოსანი ქალი

**მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონს და რეკორდსმენს ჭოკით ხტომაში, რუსეთელ ელენა ისინბაევას მსოფლიო რეკორდების მთელი სერიის შემდეგ, რომელთაგან უმაღლესი 5,02 მეტრი იყო, აღმოსავლეთ აზიაში გამართულ შეჯიბრებებზე ნახტომები არ გამოუვიდა, იოკაჰამაში 4,5 მეტრიც კი ვერ დაძლია, იგი მაინც ლიდერობს მონტე-კარლოში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში გამოქვეყნებულ ათი საუკეთესო ქალი სპორტსმენის სიას. მას 1453 ქულა აქვს.**

რეიტინგ-ლისტში მეორე საფეხურზეა ეთიოპიელი მორბენალი ტირუნეშ დიბაბა, მესამეზე კი — შვიდჭიდში მსოფლიო და ოლიმპიადის ჩემპიონი, შვედი კაროლინა კლიუფტი. ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებიდან საუკეთესოთა ათეულში შედიან, აგრეთვე, ინგლისელი პოლა რედკლიფი (მეოთხე ადგილი) და ფრანგი კრისტინ არონი — ათეულის ბოლოში.

მამაკაცების რანგთა ტაბელში პირველია მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, ასევე მსოფლიო რეკორდსმენი სტაიერულ სირბილში, 23 წლის ეთიოპიელი კენენისა ბეკელე, შემდეგ მოდიან სპრინტში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი შავკანიანი ჯასტინ ჰეტლინი, 3000 მეტრზე დაბრკოლებებით სირბილში მსოფლიო ჩემპიონი, ექს-კენიელი, ამჟამად არაბული საამიროების მოქალაქე საიფ სიედ შახინი.

### ლამაზმან ცოლს აჩუქა

**პორტუგალიის ნაკრებისა და ახლა უკვე მილანის „ინტერის“ ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ, როცა პირველად გამოვიდა იტალიაში გადასვლის შემდეგ სან-სიროს სტადიონზე, „ლეჩეზე“ დიდი გამარჯვება (3:0) თავის ლამაზმან ცოლს, შვედ მოდელს ჰელენ სვედინს მიუძღვნა.**

ამ ცოლ-ქმარმა იტალიაში უკვე მოიპოვა ყველაზე ლამაზი წყვილის სახელი. ფიგუს ცოლი ხომ პორტუგალიაში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელთა ყველაზე ლამაზ თანამგზავრადაც მიიჩნიეს და ჩემპიონატის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა.

ისინი 2001 წელს შეერთდნენ და ახლა უკვე ორი შვილს ზრდიან.

როგორც არაოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, ფიგუს „ინტერში“ გადასვლა სწორედ ჰელენას „ბრალია“. მისი რჩევით ფეხბურთელმა იტალიური კლუბი ამჯობინა ინგლისურ „ლივერპულს“.



### ძალოსნები შერისხეს

**ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IWF) მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება ნოემბერში, ყატარში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრების დაუშვებლობის თაობაზე. შესაძლოა, ეს სხვა შეჯიბრებაზეც გავრცელდეს.**

ანტიდოპინგის მსოფლიო სააგენტოს ინსპექტორებმა თურქეთის ნაკრების საწვრთნელ ბანაკში აღმოაჩინეს ოლიმპიური ჩემპიონის ტანერ საგირის, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის სადათ არტუჩისა და მსოფლიო ჩემპიონის რეიხან არაბილლუს ცრუმაგიერი პირები. სპორტულ ბაზაზე, სადაც დოპინგ-კონტროლი მიმდინარეობდა, ეს სპორტსმენები ადგილზე არ აღმოჩნდნენ.

„ამ სპორტსმენების არყოფნის შესახებ პატაკი მაშინვე შევიტანეთ, — თქვა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ოსმან ნური ვურალმა, — ჩვენ მოვითხოვეთ ნაკრებიდან ამ სამი დამრღვევის გარიცხვა. ჩვენი ცნობებით, შემოწმების მომენტში ეს სპორტსმენები ფეხბურთის მატჩზე იმყოფებოდნენ“.

დასახელებული სპორტსმენების მიერ დოპინგ-კონტროლის იგნორირებამ საერთაშორისო ფედერაციის თავკაცების მოთმინების ფიალა აავსო, რადგან თურქეთის ნაკრები მკაცრად იყო გაფრთხილებული — ჯერ კიდევ ივნისში, როდესაც ნივთიერებების გამოყენებისთვის ორი წლით ასპარეზობა აეკრძალა ცნობილ შტანგისტს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ხალილ მუტლუს.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მცხეთის რაიონის ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის სოლისტები – მარცხნიდან მარჯვნივ: ზურაბ ოქროპირიძე, სოვა ბულაცოვი და ვასილ მუხათგვერდელი.
მცხეთა, 1981 წელი.

მოგვაწოდა ოქრო ოქროპირიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

**ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვას**

ქალბატონო ეთერ!

თქვენმა გულისხმიერებამ ჩვენს მიმართ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაუვიწყარი იყო ის დღეები, რომლის ჩვენ ციხისძირში გავატარეთ და მიგვაჩნია, რომ ეს ყველაფერი უშუალოდ თქვენი საჩუქარი იყო მესხი ახალგაზრდობისთვის. თქვენი და სამინისტროს თითქმის ყველა თანამშრომლის სახელი, ბავშვების მეხსიერებაში ღრმას ასოებით ჩაწერეთ და მადლობის გვიტგვინიც დაიდგით.

რეპატრიირებული მესხი ახალგაზრდების სახელით მინდა გულწრფელად გადაგიხადოთ უღრმესი მადლობა იმ ლამაზი დღეებისთვის, რომლიც ჩვენთვის შექმენით.

**უდიდესი პატივისცემით,**
**ლაჩინ ერისთავი.**

**ნანა ჭიჭინაძეს!**

ჩვენი რაიონის აქტივის ღირსეულ ქალბატონს გილოცავთ ჯროფკავშირებში მოღვაწეობის ოცდათხუთმეტ წლისთავს. თქვენი უშუალო მალისხმევით და საოცარი ორგანიზატორული ნიჭით რაიონში მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართა და იმართება დღესაც. თუნდაც რად ღირს გია ყანჩელის მუსიკის ფონზე ვაჟა ფშაველას „მთის წყაროს“ მუსიკალური კომპოზიცია, დიდი ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო საღამო და მრავალი სხვა... კვლავაც ველოდებით თქვენგან ახალ-ახალ სიურპრიზებს.

დაუშრეტელი ენერგია, წარმატებები და სიკეთე ყოფილიყოს ყოველთვის თქვენი ცხოვრების მეგზური.

**დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელი სოსო ხაჩიაშვილი;**
**რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე თემურ გოგილაშვილი.**

## ხიდები

# აფერადებული თეფშები

**2005 წლის 9-12 სექტემბერს ერევანში, ცნობილი ფერმწერის გევორქ (ჯოტო) გრიგორიანის სახელოსნო-მუზეუმში გაიმართა თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა ალექსანდრე პირადოვის კოლექციიდან სახელწოდებით „თეფშების მრავლოვანი სივრცე“.**

კოლექციონერების კერძო ინიციატივით, სომხეთის ეროვნული გალერეის დახმარებით და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ლოცვა-კურთხევით ერევნელებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ცნობილი თბილისელი მხატვრების შემოქმედებას. მათ შორის ცნობილი ოსტატების დიმიტრი ერისთავის, თენგიზ მირზაშვილის, ზურაბ ნიჟარაძის, ამირ კაკაბაძის, გია ბუღაძის, გაიანე ხაჩატურიანის, ლალი ზამბახიძის, ლორეტა შენგელია-აბაშიძის, კარლო ფაჩულიას, თემო მაჭავარიანის, გოგი ჩაგელიშვილის, გოგი ლაზარაშვილის, ნანა ჭურღულიას, ლალი ლომთაძის, ნინო ზაალიშვილის, ლეილა შელიას, ნანა გერასიმოვას, მამუკა ცეცხლაძის, ჯემალ კუხალაშვილის და სხვა ოსტატთა ნამუშევრებს.

ამ პატარა უჩვეულო კოლექციის შექმნის იდეა მარტივი და გონებმახვილურია. ცნობილმა თბილისელმა კოლექციონერმა, პროფესორმა პირადოვმა სთხოვა მხატვრებს თითო თეფშის მოხატვა. წინადადებას 33 ავტორი გამოეხმაურა. ყოველმა მათგანმა მრავლოვანი სივრცე თავისებურად გაიაზრა. ასე გადაიქცა ჩვეულებრივი ფაიფურის თუ ქაშანურის თეფში ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშად, ხოლო ბატონმა ალექსანდრემ მიიღო შესანიშნავი, ძალიან კომპაქტური კოლექცია, რომელიც იძლევა წარმოდგენას თანამედროვე ქართული მხატვრობის პალიტრის შესახებ.

ფერწერის და გრაფიკის ცნობილ ოსტატთა ხელში თეფშების სივრცე ძალიან ტევადი აღმოჩნდა. მაყურებლის წინაშე წარდგა ჯოვანი ვეფხვაძის და ლიუდმილა ვართანოვას ძველი თბილისის სურათები, თამაზ ხუციშვილისა და გაიანე ხაჩატურიანის ლირიკული და მახვილგონიერი პორტრეტები, ალექს ბერდიშევის, ლეილა შელიას, თინათინ ჰაინეს, გივი ალაპიშვილის აბსტრაქტული და კონცეპტუალური კომპოზიციები. თემატურმა შეუზღუდაობამ, შემოქმედებითი თვითგამოხატვის თავისუფლებამ კოლექცია გახადა მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი. საგამოფენო დარბაზის მცირე ზომების მიუხედავად ერევნელებს მიეცათ შესაძლებლობა ჩაფლულიყვნენ მხატვართა სამყაროს ჯადოსნურ ატმოსფეროში, ისეთსავე თავისთავადსა, განუმეორებელში და მომხიბლავში, როგორც თავად თბილისია.



ძალიან სიმბოლური იყო საგამოფენო ადგილად გევორქ გრიგორიანის, ყველასთვის უფრო ჯოტოს სახელით ცნობილი მხატვრის სახლ-მუზეუმის შერჩევა. მან თავისი შემოქმედებითი გზა თბილისში დაიწყო და ცნობილ ოსტატადაც აქ ჩამოყალიბდა. ერევანში გადასვლის შემდეგაც ფერმწერს არ გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ ქალაქთან. დღეს, როდესაც არც ის, არც მისი მეუღლე დიანა უკლება აღარ არიან ჩვენს გვერდით, მისმა ერევნულმა სახელოსნომ მაინც ჭეშმარიტი თბილისური სტუმართმოყვარეობით გააღო კარი მეგობრებისთვის.

ერევანში ალექსანდრე პირადოვის კოლექციის „თეფშების მრავლოვანი სივრცის“ გახსნა სომხეთის დედაქალაქის კულტურული ცხოვრების შესამჩნევ მოვლენად გადაიქცა.

თბილისში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის წინამძღვრის დავალებით გამოფენა დალოცა სომხური ეკლესიის სურბ გევორქის მოძღვარმა ტერ უსიკმა.

გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს საქართველოს ელჩი სომხეთში რევაზ გაჩეჩილაძე, სომხეთის კულტურის მინისტრის მოადგილე გაგიკ გიურჯიანი, სომხეთის სახელმწიფო გალერეის დირექტორი ფარაონ მირზოიანი, ჯოტო გრიგორიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი მარტინ მიქაელიანი.

სტუმართა შორის იყვნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სომხეთის საზოგადო მოღვაწენი, რიგითი მოქალაქენი, ფერწერის მოყვარულები, რომელთაგან ბევრი წარმოშობით თბილისელია.

გამოფენამ სომხეთის პრესის დიდი დაინტერესება გამოიწვია. განსაკუთრებით აღინიშნა კულტურის მოღვაწეთა კონტაქტების დიდი მნიშვნელობა ღრმა ისტორიული ფესვების მქონე ქართულ-სომხური ურთიერთობების განსავითარებლად.

**აიდა ბაბაჯანოვა**

**სურათზე: მარცხნიდან: სომხეთის ეროვნული გალერეის დირექტორი ფარნაოზ მირზოიანი, ჯოტოს სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორი მარტინ მიქაელიანი, პროფესორი ალექსანდრე პირადოვი, სომხეთის კულტურის მინისტრის მოადგილე გაგიკ გიურჯიანი, საქართველოს ელჩი სომხეთში რევაზ გაჩეჩილაძე.**

## გვემრავლოს!

# „ბიბიდაში“ ვაჟიანობაა

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

ოშ აგვისტოში სამშობიარო სახლ „ბიბიდაში“, ქავთარაძის ქუჩაზე რომ მდებარეობს, 58 ბავშვი დაიბადა, როგორც სამშობიაროს უფროსმა ორდინატორმა ლია ოტიაშვილმა და პედიატრმა ნინო ქარსელაძემ გვაცნობეს, სექტემბრის 22 დღეში მათთან 48 პატარა მოევლინა ქვეყანას. ყველა ჯანმრთელია, გუშინ კი აქ თბილისელ ნინო ირემაძე-ცინცაძეს, მცხოვრებს ბარათაშვილის ქუჩა № 1-ში, ბიჭი შეეძინა, ხოლო დედაქალაქის ნუცუბიძის მე-3 პლატოზე, მე-4 მიკრორაიონში, საკირის ქუჩაზე მე-4 კორპუსში მცხოვრებ მარინა ნაზარიან-გრიგორიანსაც ბიჭი ეყოლა. მისი ჩვილი 5 კილოგრამს იწონის, ამ წონის ბავშვი კი გოლიათია.



გაიზარდონ!

## ცოტაც გავიცინოთ...

**შერიფი** თავის ახალ თანაშემწეს გამოცდას უტარებს. ხუთი მეტრიდან ორი დამბაჩა დაახალა. ქუდი და პიჯაკი გაუხვრიტა. თანაშემწე არც კი განძრეულა.
– ყოჩაღ! პიჯაკსა და ქუდს ახალს გიყიდი.
– ურიგო არ იქნებოდა თუ ახალ შარვალსაც მიყიდიდით.

* * *

– **თქვენი** ქმრის საქმე ძალზე ცუდადაა! შეიძლება მას დაელაპარაკოთ, მაგრამ გახსოვდეთ, მას სრული სიმშვიდე სჭირდება.
– რასაკვირველია, ექიმო, მე მას სულაც არ ავაღელვებ, მხოლოდ ანდერძის დაწერას ვთხოვ.

* * *

– **დედა,** დღეს მათემატიკაში საკონტროლო გვქონდა.
– ძნელი იყო?
– აბა, რას ამბობ? ისეთი ადვილი იყო, რომ მამაჩემიც კი გამოიყვანდა.

* * *

– **დედა,** ჩემი თვალით ვნახე, თუ მამაჩემი როგორ ასეირნებდა ორ პოლიციელს. მათ მამაჩემისთვის ხელი ჰქონდათ ჩაკიდებული.

* * *

**სასამართლოში:**
ბატონო მოსამართლევ! გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, რომ ჩემი კლიენტი იმ აღზრდის მეთოდების მსხვერპლია, მისი მშობლები რომ იყენებდნენ. არ არსებობდა სურვილი, მისთვის მაშინვე რომ არ აესრულებინათ. ბიჭი მამას ორმოცდაათ დოლარს რომ სთხოვდა, ის მაშინვე ჩადიოდა სარდაფში და ახალ ბანკნოტს ბეჭდავდა.

* * *

– **თქვენ,** მგონი, სადღაც შემხვედრიხართ, – ეუბნება მოსამართლე ბრალდებულს.
– დიახ, ბატონო, თქვენს ქალიშვილს მუსიკას ვასწავლიდი.
– ოცდახუთი წელი კატორღა!



* * *

**განგსტერი** ამბობს:
– ჯერჯერობით ჩემი აუხდენელი ოცნებაა – გავძარცვო ბანკი და იქ ჩემი სიდედრის თითების ანაბეჭდები დავტოვო.

* * *

– **რატომ** საქორწინო ბეჭედს არ ატარებ?
– ყელში მიჭერს.

* * *

**ორი** დაქალი საუბრობს:
– ჩემს ქმარს ისეთი ცუდი ბინა მისცეს, რომ იძულებული გავხდი, გამომეცვალა.
– ბინა?
– არა, ქმარი.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

**23 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2587 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2000 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0635 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3926 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4006 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5907 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 23 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $30^0$ | $17^0$ |
| ბათუმი | $28^0$ | $18^0$ |
| სოხუმი | $26^0$ | $17^0$ |
| ქუთაისი | $28^0$ | $17^0$ |
| თელავი | $28^0$ | $16^0$ |

## სკოლა

# 26 სექტემბერი კარზეა



**სასწავლო წლის დაწყებამდე 3 დღე დარჩა და მშობლის, მასწავლებლების, მოსწავლეების, სკოლის ხელმძღვანელთა მღელვარებაც ბუნებრივია... ბევრმა თადარიგი კარგა ხანია დაიჭირა, დედაქალაქის სასკოლო ბაზრობებზე სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები შეიძინა, ზოგიც ამ დღეებში შეიძენს. ღელავს პირველკლასელი და დამამთავრებელიც; პირველკლასელმა პირველად უნდა შეაღოს სასწავლებლის კარი, XI კლასელისთვის კი ბოლო სასწავლო წელია...**

დედაქალაქის სპორტის სასახლესთან, მეტრო „გოცირიძესთან“ თუ სხვა ადგილებში გამოტანილია სასკოლო სახელმძღვანელოები, აქვე იყიდება რვეულები, კალმები, ფლომასტერები, სახაზავები, საშლელები... ეს ფოტოსურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სპორტის სასახლესთან გამართულ სასკოლო ბაზრობაზე გადაიღო.

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**



## ხსოვნა

# ნიკოლოზ (კოკა) ხაბალაშვილი



გარდაიცვალა შავი მეტალურგიის სამინისტროს დამსახურებული მუშაკი **ნიკოლოზ (კოკა) ხაბალაშვილი.** როგორც ინჟინერ-მეტალურგი, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „მეტორჩერმეტის“ სისტემაში, ინჟინრად, ტექნიკური განყოფილების უფროსად, გაჩიანის ქარხნის დირექტორად, ასევე სააქციო საზოგადოება „საქმეოლითის“ ფინანსურ დირექტორად.

გონების თვალს ვავლებთ რა მის მიერ განვლილ სასახელო გზას, სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ ბატონი კოკა ქართველი ხალხის საუკეთესო ტრადიციების, ადათ-ჩვევების მისხალ-მისხალ მატარებელი მამულიშვილი იყო.

საგანგებოდ აღვნიშნავთ მის კაიკაცობას და დიდბუნებოვნებას, იგი გულალალად, დაუზარებლად ესარჩლებოდა და ქომაგობდა მათ, ვისაც წახალისება და დახმარება სჭირდებოდა.

ცხოვრების შუაგულში აქტიურად ტრიალმა, ხალხისთვის მუყაითად შრომამ და ღვთითმომადლებულმა ბუნებათნაზიარობამ დამსახურებულად მოუხვეჭა მას ავტორიტეტი. ამხანაგებს, მეგობრებს, ახლობლებს ხიბლავდა მისი სიტყვისა და საქმის თანხვდენილობა, ცხოვრებაში ბევრს გაუხსნა გზა, შეეშველა, მხარში ამოუდგა. მისი აღზრდილებიდან ბევრი სამეურნეო მუშაკი, ბიზნესმენია, მეცნიერი, პრაქტიკოსი. ისინი ერთგულად ემსახურნენ ერს, ქვეყანას და დღესაც ემსახურებიან სამშობლოს.

წავიდა ჩვენგან ალალ-მართალი, უღალატო, გულისხმიერი, კეთილი ადამიანი, საქმეზე უზომოდ შეყვარებული. მრავალრიცხოვან მეგობრებს, ამხანაგებს, მეუღლე დოდოს, შვილებს ირაკლის, სალომეს, ნინოს, ნათესაობას გამოაკლდა ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, კოლეგებს – ერთი საიმედო ბურჯი, ნათესაობას კი საყვარელი ადამიანი.

ახლა გულზე გეყრება, ჩვენო კოკა, მშობლიური მიწა, თან მიგაქვს ოჯახის სევდა, დარდი და ცრემლი. ღმერთო, გაანათლე სული სპეტაკი და სათნო ადამიანისა, რომელმაც ერის გაერთიანების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დარდი თან გაიყოლია. განვიცდით, რომ მეტს ველარ ვიხილავთ, ველარ შევხვდებით ბატონ კოკას, მარადიულობის სასუფეველში უკვდავად გადასულს, მაგრამ გვჯერა, რომ იგი საუკეთესო მაგალითად დარჩება ჩვენს გულებში.

მსუბუქი იყოს ბატონი კოკასთვის ქართული მიწა, რომლის სიყვარული და დარდი თან წაიყოლია.

კურთხეულ იყოს ამ ქვეყნად, ჩვენში შენი ხსენება და იქ დიდებულ წინაპრებს შორის ღირსეული განსვენება, სამარადისო პატივი თქვენ, უკუნითი უკუნისამდე, განუსვენე უფალო სახლსა მიცვალებულისა მონისა შენისა.

**სააქციო საზოგადოება „საქმეოლითის“ კოლექტივი და მეგობართა დიდი ჯგუფი.**

---

ნუგზარ, ლიანა, ომარ ქავთარაძეები ოჯახებით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან საგვარეულოს მშვენების

მაია სერგოს ასულ ქავთარაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლია ლეკიშვილი-ქუთათელაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ავ. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრთა საზოგადოება, მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტი, თსსუ ფსიქიატრიის კათედრა, სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის კურსი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი ექიმი ფსიქიატრი, რუსთავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი

ზურამ ვაშაკიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ალეკო ასლანიშვილი.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.